# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, 2010 წელი.

№238 (6604)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## როგორ დაიწყო „დემოკრატიული რევოლუცია“... ③



## ④ ვინ გადაამონტაჟებს სიმძიმის ცენტრდარღვეულ ხელისუფლებას?

დავით პაიჭაძის ე. წ. „დიალოგის“ გამო

## ადამიანს ენის გარდა სინდისიც ხომ გააჩნია!..

### სრულიად ვიზიარებ უწმინდესისა და ქართველი ხალხის შეშფოთებას



დიდი გულისტკივილით მოვისმინე მისი უწმინდესობის ილია II-ის ქადაგება საზოგადოებრივი მაუწყებლობის გადაცემა „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ დაკავშირებით.

მე იმ ხელშეკრულების ერთგული ვარ, რომელსაც უწმინდესმა და მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში მოვაწერეთ ხელი. გულწრფელად მიმაჩნია, რომ ეს დოკუმენტი შესანიშნავად განსაზღვრავს ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობის პრინციპებს.

როგორც ჭკვიანი ხალხი იტყვის, „ენას ძვალი არ აქვს“, მაგრამ ადამიანს ენის გარდა სინდისიც ხომ გააჩნია, ან პატივისცემა იმ სიწმინდის, რომლისაც ქართველ ხალხს ასე სჯერა.

სრულიად ვიზიარებ უწმინდესისა და ქართველი ხალხის შეშფოთებას და მოვუწოდებ გადაცემის ავტორს და მონაწილეებს, თავისივე სულის გადასარჩენად, ბოდიში მოუხადონ საზოგადოებას, რადგან, როგორც ბრძანებს პატრიარქი, დაუსჯელი არავინ რჩება.

**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 21 დეკემბერი, 2010 წელი.

## რაკი რუსებმა მგზავრია, ტყუილის სიმართლედ შემოსაღებას გვიპირებთ, ბატონო ალეკო, და თანაც გვეღადავებით? ④




## ვისთვის რეკავს, ვის უხმობს თუ ვისი სიკვდილის (ვისი დასაფლავების) ⑦ გამო რეკავს ზარი?!.



ფრაზა დღის ამფრაზურიდან:

*პრეზიდენტი სააკაშვილი სათაფლიის მღვიმეში 17 დეკემბერს ჩატარებული მთავრობის სხდომის დროს მიმართავს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრს გიორგი ხაჩიძეს:* ***„შენ, ძვირფასო გოგა, საქმე ჩააფლავე, ახლა დაჯექი ნიკასთან (ლაპარაკია პრემიერ-მინისტრ ნიკოლოზ გილაურზე), ერთად და ღონისძიებები დასახე!“***



◉ პრესკონფერენცია

# ლეიბორისტები ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ელიან



**გუშინ, ლეიბორისტული პარტიის ოფისში, პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომელიც 2010 წლის 5 ოქტომბერს ლეიბორისტული პარტიის მიერ ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს ეხმიანება. ძაგანიას თქმით, ეს სარჩელი საგამოძიებო მოკვლევის სტადიაშია და რომის სტატუტის მუხლების დარღვევის შემთხვევაში, ჰააგის სასამართლოს მიეწოდება დამატებითი ინფორმაციები.**

კახა ძაგანია: „ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოდან მოსული შეტყობინების თანახმად, პარტიის სარჩელი ტირანი იუბილარის სააკაშვილის დაპატიმრებისა და პასუხისმგებლობის შესახებ საგამოძიებო მოკვლევის სტადიაშია.

ვფიქრობთ, ეს ინფორმაცია საახალწლოდ ქართველ ხალხს გაახარებს და იუბილარს დაამწუხრებს.

შეგახსენებთ, 2010 წლის 5 ოქტომბერს ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოში ლეიბორისტულმა პარტიამ სარჩელი შეიტანა და მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება მოითხოვა. სარჩელი შეიცავს 25 ეპიზოდს და აერთიანებს სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულებს, რომლებითაც რომის სტატუტის მუხლები დაირღვა. ესენია: ომის პროვოცირება და დაწყება, რუსეთის ომში ჩაბმა, რაზეც ტალიავინის დასკვნა დაიდო. სვანეთში აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვა (სააკაშვილი ტელევიზიით გამოვიდა და ამაყად განაცხადა, რომ ეს სპეცოპერაცია, პირადად მისი დავალებით ჩატარდა). გირგვლიანისა და სხვა ახალგაზრდა ბიჭების დახოცვა, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა, 7-ნოემბრის აქცია, პოლიტპატიმრები, სულხან მოლაშვილის წამება და სხვა მრავალი...

რომის სტატუტი ითვალისწინებს სხვა მუხლების დარღვევის გამო დამატებითი ინფორმაციების მიწოდებას“, — დასძინა ძაგანიამ.

გთავაზობთ ჰააგის სასამართლოდან ლეიბორისტული პარტიისთვის გამოგზავნილი საპასუხო წერილის მოკლე ამონარიდს: „ჩვენ ვაწარმოებთ სიტუაციის ანალიზს, სარჩელთან დაკავშირებულ სხვადასხვა გარემოებაზე, ბრალმდებელმა უნდა ჩათვალოს, რომ დანაშაული იურისდიქციაში ნამდვილად არის ჩადენილი. დანაშაულის სერიოზულობის დონე მაღალია, რადგან ეროვნული სისტემა იკვლევს და სასამართლოს წესით დევნის შესაბამის დანაშაულებს.

ჩვენ გავითვალისწინებთ თქვენს ცნობებს და თქვენს ძიებებს... გადაწყვეტილება როგორც კი იქნება მიღებული გამოძიების გაგრძელებასთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაცნობებთ“, — ნათქვამია წერილში.

როდის მოვა საბოლოო პასუხი ჰააგის სასამართლოდან, არ იციან, თუმცა დიდი იმედი აქვთ, რომ ჰააგის სასამართლო მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას და ლეიბორისტული პარტიის სასარგებლოდ გამოიტანს განაჩენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ლეიბორისტული პარტიის სარჩელს დააკმაყოფილებენ, საქართველო ახალი პრეზიდენტის ძიებას დაიწყებს. პრესკონფერენციაზე ძაგანიამ დაუზარელად კიდევ ერთხელ გააკრიტიკა საქართველოს პრეზიდენტის მმართველობის ფორმა და ჰააგის სასამართლოს განაჩენის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა.

**თინათინ ბორცვაძე**

◉ „შემაშფოთებელი მაგალითი“

# „მოდელირებული ქრონიკა“,

## ანუ როგორ არ უნდა აკეთო ჟურნალისტიკა

**ელდა, შოკი, სრული ქაოსი — მოკლედ, რაც გინდათ ის დაარქვით იმას, რაც ერთ მშვენიერ კვირადღეს „იმედის“ ეთერით გასულმა „მოდელირებულმა ქრონიკამ“ თავს დაგვატეხა. მართალია, ახლა შესაძლოა არც კი გახსოვდეთ ეს ამბავი, მაგრამ ამ გადაცემამ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია — უმეტესად უარყოფითი. გახსოვთ, ალბათ, პრეზიდენტის პრესსპიკერმა მაშინ ამის გამო ისეთი პოზა დაიჭირა, თითქოს მიხეილ სააკაშვილი ბაიბურში არ იყო, მის თავს რა ხდებოდა, თუმცა ამის შემდეგ გამოქვეყნდა სატელეფონო ჩანაწერები „იმედის“ დირექტორ გიორგი არველაძესა და ჟურნალისტ ეკა წამალაშვილს შორის, საიდანაც აშკარად გამოჩნდა, რომ პრეზიდენტმა ყველაფერი იცოდა.**

იცოდა თუ არ იცოდა, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია შედეგი — ხელისუფლებამ „მოდელირებული ქრონიკის“ მხარე დაიჭირა და, შესაბამისად, არც არავინ დასჯილა. სამაგიეროდ, ჟურნალისტური ეთიკის საბჭომ, რომელიც იმ ხანებში ახალშექმნილი იყო, დიდი ხმაური ატეხა და ქარტიის ხელმომწერ ნათია კობერიძეს, რომელიც გადაცემის წამყვანი იყო, ქარტია დაატოვებინა. ეს იყო და ეს, მაყურებელმა ერთი სიცოცხლე გაათავა, მაგრამ რა...

ცხოვრება ჩვეულ რეჟიმში წარიმართა, საზოგადოებას ეს ამბავი თანდათანობით მიავიწყდა. ამის შემდეგ „იმედის“ სანდოობის რეიტინგი კიდევ უფრო დაეცა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ამ არხს, ხელისუფლების შეკვეთები ჩვეული გულმოდგინებით შეასრულოს და აუდიტორიის „დაბოლების“ პოლიტიკა განაგრძოს.



წლის მიწურულს ეს ამბავი მეც არ გამახსენდებოდა, რომ არა სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიის ჟურნალისტური კავშირის ყრილობაზე, „მოდელირებულ ქრონიკასთან“ დაკავშირებით საკმაოდ მკაცრი რეზოლუცია მიუღიათ“. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ჟურნალისტთა კავშირი 1949 წელს შეიქმნა და 30 ათასამდე ჟურნალისტს აერთიანებს.

9-10 ნოემბერს გერმანიის ქალაქ ესენში კავშირის ყრილობაზე 300-მდე დელეგატი შეიკრიბა. ვინაიდან საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს სწორედ ევროკავშირი აფინანსებს, მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს „მოდელირებულ ქრონიკაზეც“ ემსჯელათ. ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ **მიხაელ კონკენმა** ქართველ კოლეგებს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც ნათქვამია, რომ „გერმანიის ჟურნალისტთა კავშირი მიესალმება ინიციატივას ქართველი კოლეგებისას, რომელთაც ეთიკის დამოუკიდებელი საბჭო შექმნეს“. რეზოლუციაში კი „მოდელირებული ქრონიკა“ შეფასებულია, როგორც შემაშფოთებელი მაგალითი: **„მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იკლებს თავისუფალი, კრიტიკული ინფორმაციის მომზადება-გადაცემის შესაძლებლობა და მზადყოფნა. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ხელისუფლების მხრიდან რეპრესიები, ჟურნალისტთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმის ნაკლებობა. მსგავს შემთხვევებთან გვაქვს საქმე საქართველოშიც. ამის შემაშფოთებელი მაგალითი იყო ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში გასული გადაცემა, რომელიც 2010 წლის დასაწყისში საქართველოში რუსული არმიის თითქოსდა განახლებულ შემოსვლას ეძღვნებოდა“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

ასე რომ, რუსების ხელახალ რისხვასა და ბომბებს კი გადავურჩით, რაშიც ყველაზე მცირე დამსახურება სწორედ ამ გადაცემას მიუძღვის, საზოგადოებამაც თანდათანობით მიივიწყა ეს ამბავი, როგორც ბევრი სხვა, მაგრამ მსგავსი მოვლენა თუ ფაქტი არ ავიწყდება ისტორიას. ხომ ხედავთ, „ქართულ მოდელირებულ ქრონიკაზე“ მაღალგანვითარებულ გერმანიაშიც კი იმსჯელეს და ალბათ, ჩვენი კოლეგები თეორიული სწავლებისას თუ პრაქტიკაში, ამ გადაცემას ყოველთვის მოიყვანენ თვალსაჩინოებისთვის იმის კარგ მაგალითად, თუ როგორ არ უნდა აკეთო ჟურნალისტიკა.

**თეა მოსია**

◉ ინფორმაცია

## პუტინმა სააკაშვილის გულის ასაჩუყებლად ქუთაისში აფეთქებული მემორიალის ანალოგი მოსკოვში გახსნა

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში პოკლონნაია გორაზე ქუთაისში დემონტირებული „დიდების მემორიალის“ ანალოგი გახსნა.**

**— პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა, როგორც იქნა თავისი ჩანაფიქრი განახორციელა და ქუთაისში აფეთქებული მემორიალის ანალოგი გახსნა, რომელიც ქუთაისში აფეთქებული მემორიალის მოტივებზე შეიქმნა, — წერს აღნიშნული ფაქტის გაშუქებისას რუსული მედია და აღნიშნავს, რომ ამ მემორიალის ანალოგის გახსნა თავად ვლადიმერ პუტინის იდეა იყო.**

**— ამ მემორიალის გახსნა 19 დეკემბერს იგეგმებოდა, ანუ ზუსტად წლისთავზე ქუთაისში მისი აფეთქებიდან. მაგრამ მოგვიანებით მისი გახსნა 21 დეკემბრისათვის — მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღისათვის გადაწყდა. მიხეილ ნიკოლოზის ძეს სავარაუდოდ გული აუჩუყდება ამგვარი საჩუქრის გამო, — წერს რუსული მედია.**

**მათივე ინფორმაციით, მემორიალის გახსნას ქართველი ოპოზიციონერები - ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიდელი ესწრებოდნენ. გახსნის ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა ნინო ბურჯანაძესთან პირადად გასაუბრება გადაწყვიტა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ გახსენება

# ერთი დღე, რომელმაც შეძრა ეპოქა

**ეს სათაური ნამდვილად არ არის ჯონ რიდის ნაწარმოების „ათი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ სახელწოდების არც ინტერპრეტაცია და არც რაიმე სახეცვლილება.**

ეს, აბსოლუტურად დამოუკიდებელი სათაურია.

მე მინდა გაგახსენოთ, 368 დღის წინათ მომხდარი აფეთქება.

აფეთქება, რომელმაც შეძრა ეპოქა.

მინდა გაგახსენოთ იდეა, რომელიც 64 წლის წინათ ვითომ დამარცხდა.

იდეა, რომელსაც ფაშიზმი ერქვა და რომელმაც ხელახლა დაანგრია, ხელახლა გაანადგურა ერთხელ უკვე დანგრეული და ისევ, ოღონდ 64 წლის შემდეგ მოკლა დედა და შვილი.

აფეთქებაზე, რომელმაც გამოამჟღავნა დასავლური დემოკრატიის ნიღბით მოსული საკუთარი თავი, ანუ „დოლარისფერი ფაშიზმი“.

გამოამჟღავნა მედროვე პოლიტიკოსთა ზრახვები და საშინელი ნიჰილიზმი.

როგორც იცით, მე არ ვარ პათეტიკური.

არ ვწერ ისეთ წერილებს, რომელიც გულს აუჩუყებს და თვალზე ცრემლს მოადენინებს მკითხველს.

არასოდეს არ ვაკეთებ რაიმე მოწოდების ანონსს. არ ვაპიარებ მოთხოვნებს, ან გადაწყვეტილებებს და ხანდახან ვხუმრობ ხოლმე.

დღეს კი გადავწყვიტე მკაცრი ვყოფილიყავი.

მკაცრი, რადგან ვერ დავინახე შარშან, 19 დეკემბერს, წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს ქუთაისში მომხდარი ტრაგედიის მიმართ, თუნდაც მცირე სახის გამოძახილი.

ვერ დავინახე ვერც იმ „პოლიტიკოსების“ მხრიდან, რომლებიც ზუსტად ერთი წლის წინათ ტელეკამერების წინ „მარიაჟობდნენ“ და ვერც იმ ჩემი კოლეგების მხრიდან, რომლებიც დიქტოფონებით თუ მიკროფონებით ხელში, დასდევდნენ ამ პოლიტიკანებს და „სხაპასხუპით“ გადასცემდნენ „სკანდალურ“ თუ „ექსკლუზიურ“ ინფორმაციებს.

სამი დღე ვაცალე.

ვაცალე, რომ ვინმე მაინც ახსენებდა დანგრეულ წარსულს.

ვინმე მაინც გაიხსენებდა ამ ხელისუფლების მიერ კიდევ ერთხელ მოკლულ გმირებს.

ველოდებოდი, რომ ვინმე მაინც იტყოდა არა მხოლოდ დანგრეულ ძეგლზე, არამედ ნგრევის შემდგომ, ხელისუფლების მიერ განხორციელებულ რეპრესიებზე.

ველოდებოდი ბრიფინგებს, ველოდებოდი აქციებს, ველოდებოდი რაიმე თეატრალიზებულ „შოუს“, რომელზეც პარლამენტის წინ ალმართავდნენ მუყაოს მემორიალს.

ველოდებოდი რაღაც განცხადებებს.

ველოდებოდი, რომ იტყოდნენ ახალი მემარჯვენეების ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე უჩა კოხოძეზე, რომელიც როგორც დიდების მემორიალის აფეთქების მოწინააღმდეგე, ამ ვანდალური აქტის შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა. დააპატიმრა და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ის გაანთავისუფლეს, მასზე და მის ოჯახზე ზეწოლა გაგრძელდა. ხოლო 26 ნოემბერს უჩა კოხოძე ისევ დააკავეს.

არავის არ გაახსენდა დაღუპული დედა-შვილი.

არა, იყო მცირე ინფორმაციები პრესაში. იყო ინფორმაციები სხვადასხვა სააგენტოების ვებ გვერდებზე, მაგრამ პროტესტის ნასახიც არ ჩანდა.

არ ჩანდა პროტესტი, თუ არ ჩავთვლით მოსკოვში, „პოკლონნაია გორა“-ზე დიდების მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით, ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტს.

აქაც გვაჯობეს!

არა, ბურჯანაძემ და ნოღაიდელმა კი არა, სხვებმა... (გვარებს არ დავასახელებ).

ისე, ამ ანტიკავკასიური გამოსვლების ფონზე, ნოღაიდელს და ბურჯანაძეს მოსკოვში წასვლის არ შეეშინდათ?

ხომ არ ჯობდა, რომ ეს ორი „ლიდერი“, მოსკოვში წასვლამდე, ქუთაისში ჩასულიყვნენ, იმ დანგრეული ძეგლის ადგილას ყვავილები მიეტანათ და გარდაცვლილების ოჯახისთვის მიესამძიმრებინათ?

არ ვიცი. ყველა თვითონ აკეთებს თავის არჩევანს, თუ სად უნდა წავიდეს.

სად უნდა მივიდეს, თავის ნანგრევებთან, თუ სხვის ოზელისკებთან.

ახლა არ მითხრას ვინმემ, რომ რუსებმა ის ძეგლი ქართველი და კავკასიელი გმირების სადიდებლად დადგესო.

ბურჯანაძეც და ნოღაიდელიც არა მგონია მოსკოვში 300 000 ქართველი გმირისთვის პატივის მისაგებად ჩავიდნენ.

რატომღაც მგონია, რომ ისინი უფრო „გოსტ-არბაიტერის“ სტატუსის საძიებლად წავიდნენ.

ისე, ნეტა რამდენი „გოსტ-არბაიტერია“ მოსკოვში?

ალბათ, ბევრი.

ჰოდა ერთი ორი კაციც დაემატება რა.

არადა, შარშანდელ აფეთქებას წესითნამდვილად უნდა შეეზანზარებინა სამყარო.

**გია გაბრიჭიძე**

ეს იყო, იყო...



# როგორ დაიწყო „დემოკრატიული რევოლუცია“...

ამა წლის 22 დეკემბერს ზუსტად 19 წელი გავიდა იმ ამაზრზენი დღიდან, როდესაც რუსთაველის გამზირზე შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო.

ოთხმოცდაათიანი წლებიდან აქტიურად ჩავები ეროვნულ მოძრაობაში. მონაწილეობას ვიღებდი ანტისაოკუპაციო მანიფესტაციებსა და მიტინგებში. ამ წლებში გავიცანი მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, რომლებიც უკვე გამოკვეთილი ლიდერები იყვნენ. ამ პერიოდში ვთანამშრომლობდი ქართულ პრესასთან.

ეროვნული ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, როდესაც შეიქმნა ეროვნული გვარდია — შინაგანი ჯარები, სამსახური დავიწყე ოფიცრად. თანაც ვთანამშრომლობდი გაზეთ „საქართველოს გვარდიელში“, რომლის პირველი ნომერიც გამოვიდა 1991 წლის 26 მაისს, რა დღესაც ეროვნულ სტადიონზე ჩატარდა სამხედრო აღლუმი და გვარდიამ მიიღო მხედრული ფიცი. გკჩპ-ს ცნობილი მოვლენების შემდეგ, გვარდიის ერთმა ნაწილმა ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, მეორე ნაწილი კი ერთგული დარჩა. თანდათან დაიწყო კონფლიქტის ესკალაცია, რასაც ხელს უწყობდა ზოგიერთი პოლიტიკური პარტია. რუსთაველის გამზირზე სამშენებლო ნაგავი დაყარეს, მოხდა შეიარაღებული შეტაკებები. იყო მსხვერპლი ორივე მხრიდან. თბილისის ზღვაზე დაიღუპა თვალსაჩინო ოფიცერი ნუგზარ შანავა, რომელიც არაერთხელ გადაურჩა ოსი სეპარატისტების ტყვიას!

ე. წ. ოპოზიციის ლიდერები ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვიროდნენ, თითქოს პრეზიდენტმა გამსახურდიამ ეროვნული გვარდია გკჩპ-ს შიშით გააუქმა. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად იყო.

1991 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ შექმნა ეროვნული თავდაცვის დეპარტამენტი, პირადად ჩაუდგა მას სათავეში; შეიყვანა იქ ეროვნული გვარდია, როგორც დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურა და მოუხსნა შინაგანი ჯარების სტატუსი (რომელიც მოგვიანებით ცალკე ჩამოყალიბდა). აქ მე ფაქტობრივად თავიდან შევედი ეროვნულ გვარდიაში და დავინიშნე მთავარ სამმართველოში პროპაგანდის განყოფილების უფროს ოფიცრად.

## თვითმხილველის თვალით

1991 წლის დეკემბრისთვის გარედან ინსპირირებული დესტაბილიზაცია უმაღლეს ფაზაში შევიდა. 21 დეკემბრის ღამეს პირველ სკოლასთან ტარდებოდა ე. წ. ოპოზიციის მიტინგი. მათ ძლიერი მიკროფონი ჰქონდათ და კარგად გვესმოდა უკიდურესად აღგზნებული თენგიზ სიგუას მუქარა. იმავე 21 დეკემბრის ღამეს მთავრობის სასახლის მოედანზე გაიმართა მიტინგი, სადაც ბატონმა ზვიადმა წინასწარმეტყველური სიტყვა წარმოთქვა! აღნიშნა, რომ არეულობა მოსკოვიდან იმართებოდა და ბნელი ძალების უკან ე. შევარდნაძე იდგა! იმის მიუხედავად, რომ ამ მიტინგს მრავალი ვიდეოკამერა იღებდა, საზოგადოებას დღემდე უმალავენ ამ კადრებს.

ჩვენი მიტინგის პარალელურად ოპოზიციის აქტივისტებს რუსთაველის გამზირის გადასაღობად „კრაზის“ ტიპის სატვირთო მანქანები გადაჰყავდათ სასტუმრო „თბილისის“ მიმართულებით, სადაც ისინი ძალიან მჭიდროდ ჩაამწკრივეს. აშკარად რაღაც მიზნით კეთდებოდა ეს!

გვიან ღამით, როდესაც მიტინგი დასრულდა, ვიმყოფებოდი მთავრობის სასახლის შიდა ეზოში. აქ იყვნენ ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელები, შს სამინისტროს მაღალჩინოსნები. მოულოდნელად გამოგვეცხადა ირაკლი ბათიაშვილი — მოითხოვა პრეზიდენტის ნახვა. რაზე ისაუბრეს, ჩემთვის უცნობია. გამოსვლისას გაგვაფრთხილა, რომ გათენდებოდა თუ არა, ოპოზიცია ჩვენს წინააღმდეგ დაიწყებდა შეიარაღებულ მოქმედებას. კიდევ გავიდა ერთი-ორი საათი. მოვიდა ორი აღელვებული ქალბატონი, რომლებმაც განაცხადეს, რომ საკუთარი თვალით ნახეს სატვირთო მანქანები ძნელაძის ქუჩაზე, საიდანაც დიდძალი შეიარაღებული ხალხი გადმოვიდა. ხმამაღლა იძახდნენ, რომ ღალატი იყო, თითქოს პრეზიდენტს უმალავდნენ ამ ფაქტს და სხვა.

განთიადისას ვიდექი სასახლის ფასადის წინ, სვეტებთან რკინის ყუთში დანთებულ ცეცხლთან. როდესაც საკმაოდ გათენდა და მხედველობის არე გაფართოვდა, მე დავინახე ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილი, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული სხვადასხვა ასაკის ადამიანები, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. ყოველ მათგანს მხარზე ავტომატი ეკიდა. თვალში საცემი იყო ის გარემოება, რომ თითოეულს ეხურა ერთნაირი ყაიდის შავი, ნაქსოვი ქუდი. როდესაც ჩემი აზრი გვერდით მდგარ მილიციის მაღალჩინოსანს გავუზიარე, მან თავის დაქნევით დამიდასტურა. ეს შეიარაღებულები მოურიდებლად დადიოდნენ რუსთაველის გამზირზე. ამ დროს ქაშვეთის წინ მდებარე ქუჩით ამოიარა მილიციელმა, რომელიც ადვილი საცნობი იყო ფორმის გრძელი „პლაშჩით“ და ზედ დაკერებული სამხრეებით. შეიარაღებულები მას წინ გადაეღობნენ, არ მისცეს საშუალება, გადმოეჭრა გამზირი და ჩვენთან ამოსულიყო. ერთ-ერთმა მხარიდან ავტომატი ჩამოიხსნა და მილიციელს მიუშვირა, მეორემ აიძულა „პლაშჩის“ ღილები გაეხსნა. ჯგუფად შემოეხვივნენ მას და პისტოლეტი წაართვეს. ჩემს გვერდით მდგომმა მაღალჩინოსანმა აღშფოთებით მითხრა „ხედავ რა ხდება? მილიციელი განაიარაღესო“! სწრაფად მიბრუნდა, განკარგულება გასცა და მისი მეთაურობით რამდენიმე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ჩავიდა კიბეზე და მიუახლოვდა იმ შეიარაღებულ ახალგაზრდებს. ამ დროს ქაშუეთის მხრიდან და უფრო შორიდანაც ატყდა მასიური სროლა ავტომატებიდან. მე ფასადის სვეტს გავეკარი, ფრთხილად გავიხედე ქაშუეთის მიმართულებით. დავინახე, რომ ის მილიციელები, რომლებიც ეს-ესაა გავიდნენ, უკან ამორბოდნენ, მათმა ხელმძღვანელმა მაღალჩინოსანმა ხელი შეაბრუნა და რამდენიმე ტყვია გაუშვა „მაკაროვიდან“. ქაშუეთის ეკლესიის გუმბათის სარკმლიდან ტყვიამფრქვევი ამუშავდა. მასირებული დაშენა დიდხანს გაგრძელდა. ამ დროს დაიღუპა რამდენიმე მოშიმშილე, რომლებსაც კარვებში ეძინათ და ეროვნული მოძრაობის ვეტერანი არჩილ რამიშვილი. მალე ჭურვებიც დაუშინეს სასახლის ფასადს...

22 დეკემბრის სუსხიანი დილა თენდებოდა.

ასე დაიწყო „დემოკრატიული რევოლუცია“.

**ნიკო უგრელიძე**

შეფასება

*2010 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და ტენდენციებზე, 2011 წელს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარებზე, „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოსს, პოლიტოლოგსა და სამხედრო ექსპერტს კახა კაციტაძეს ესაუბრა.*



# 2010 წელი უგმირო წელი იყო

**— ბატონო კახა, თქვენი აზრით, 2010 წელს საშინაო პოლიტიკაში რა მოხდა ყველაზე მნიშვნელოვანი და, საერთოდ, როგორ შეაფასებდით 2010 წელს საშინაო პოლიტიკაში განვითარებულ მოვლენებს?**

—2010 წელს საშინაო პოლიტიკაში ერთი რომელიმე ფაქტის გამოყოფა გამიჭირდება, თუმცა შეიძლება, აღინიშნოს ჩვენი პრეზიდენტის მრავალი კოლორიტული ქმედება. მაგალითად, ზღვაში ცურვა, თუნდაც გამოქვაბულში ჩასვლა და ნავით სეირნობა. პრინციპში, ვიტყოდი, რომ საშინაო პოლიტიკაში 2010 წელი გამორჩეული არ ყოფილა და სტაგნაციური წლის შთაბეჭდილება დატოვა. თუ შეიძლება ასე ითქვას, 2010 წელი უგმირო წელი იყო. სამწუხაროდ, ცუდი ტენდენციაა, რომ პოლიტიკაში, ხელოვნებაში, მედიაში, თუნდაც ბიზნესში ახალი სახეები არ გამოჩენილან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი სახეების დეფიციტი აშკარად იგრძნობა. სამწუხაროა, რომ ჩვენ გარკვეულწილად სტაგნაციურ საზოგადოებად ვყალიბდებით. ჩვენში არსებული ვითარება ნელ-ნელა ადრებრეჟნევული პერიოდის, ე.წ. ზასტოის ასოციაციას იწვევს. ყოველ შემთხვევაში, 2010 წელმა ასეთი შთაბეჭდილებები დამიტოვა.

**— თქვენი აზრით, 2011 წელს როგორ განვითარდება პროცესები საშინაო პოლიტიკაში?**

— ეს პროცესი გაგრძელდება. შესაძლოა, რაღაც ძალიან მოულოდნელმა ფაქტორებმა დაიწყონ მოქმედება. მაგალითად, ჩვენთან ძალიან სერიოზულად არის შეუსწავლელი, რა მდგომარეობაა ეკონომიკაში. არ ვსაუბრობ იმაზე, წამოიწევს თუ არა წინ სოციალური ლოზუნგები. უბრალოდ, ჩვენ არ ვიცით, რამდენად შეუძლია სახელმწიფოს იფუნქციონიროს წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით. ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში გროვდებოდა, 2011 წელს ალბათ უფრო ძალუმად იჩენს თავს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა იქნება საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორი. მეორე მხრივ, საგარეო ვითარება საშინაოზე გარკვეულ ასახვას ჰპოვებს.

**— როგორ შეაფასებდით საერთაშორისო ასპარეზზე 2010 წელს განვითარებულ პროცესებს და როგორი იყო ეს პროცესები საქართველოსთვის?**

— გლობალური თვალსაზრისით, 2010 წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამ შემთხვევაშიც, ერთი ფაქტის გამოყოფა იმის გამო ჭირს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე პროცესების დინამიკაში საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ფაქტია, მსოფლიოში ნელ-ნელა ყალიბდება მსოფლიოს ახალი წესრიგის კონტურები.

ჩვენ, ძალიან ვართ დაციკლული ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებზე და საერთოდ არ ვაქცევთ ყურადღებას ზოგად ტენდენციებს. ე.წ. ჯი-20-ის რეალური მექანიზმების რეალურად ამუშავებას, ანუ მსოფლიოს 20 წამყვანი ქვეყნების ალიანსის შექმნას, რომელშიც მეოცე წევრად ევროკავშირია და, ფაქტობრივად, უკვე 50-მდე სახელმწიფო იღებს პასუხიმგებლობას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. საუბარია სულ სხვა სახის წესრიგზე, რაც არ არის არც ერთპოლუსიანი, არც მრავალპოლუსიანი, უფრო რთულ მსოფლიოზეა საუბარი, რომელსაც გაცილებით ფაქიზი სისტემა აქვს. სამწუხაროდ, ჩვენ ეს გარემოება არ გაგვიაზრებია და რაღაც ნეანდერტალური კატეგორიებით, ამერიკა-სსრკ-ის ან ამერიკა-რუსეთის დაპირისპირების სააზროვნო სისტემით ვართ. ეს პროცესი კი, უკვე აშკარად დასრულებულია. მნიშვნელოვან პოზიციებს სხვა ქვეყნები იკავებენ. არაფერს ვამბობ ჩინეთზე, საუბარია ინდოეთზე, ბრაზილიასა და თურქეთზე, რომელიც ძალიან ფაქიზად ცდილობს, ერთდროულად როგორც ნატოს წევრობის, ისე ისლამური კულტურული სამყაროსადმი კუთვნილების გამოყენებას.

ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი აფრიკაში ჩატარდა. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამ 30 ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის პარამეტრებში სულ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ეკავება მათ ეკონომიკურ მდგომარეობას და არა — სამხედრო ძალას. უფრო და უფრო ნაკლებ როლს თამაშობს დემოკრატიის ხარისხი. მაგალითად, ჩინეთი და საუდის არაბეთი ჯი-20-ში დემოკრატიულობის გამო არ მოხვედრილან.

**— შარშან, 2009 წლის შეფასებისას, თქვენ ბრძანეთ — „საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარი ცვლილებები არ შეუმჩნევია“. გამოდის თქვენი შარშანდელი შეფასება წელსაც ძალაშია?**

— დიახ, რასაკვირველია, სწორედ ამას ვგულისხმობ. ეს შეუმჩნევლობა გრძელდება და ახლა უკვე ლიად იკვეთება ჩვენთან მიმართებაში. ეს ზოგადი ტენდენცია აისახება იმავე ნატო-რუსეთის ურთიერთობაზეც. იმავეს თქმა შეიძლება ნატოს ლისაბონის სამიტის შედეგებზე; იმავე სენატში რუსეთთან მიმართებაში სტრატეგიული ბირთვული შეტევითი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების რატიფიკაციაზეც. ეს ყველაფერი ჩვენ უნდა გაგვეთვალისწინებინა და გაგვეაზრებინა. საქმე ის არის, რომ ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე გვქონდა აკვიატებული დოგმატური კურსი — ერთმანეთს ებრძვის დასავლეთი და რუსეთი, დავდგეთ დასავლეთის მხარეს, ის მოიგებს, ჩვენ მივიღებთ დივიდენდები და ასე გადავწყვეტთ ტერიტორიულ პრობლემებს. გაირკვა, რომ სართაშორისო ურთიერთობები ჩვენი წარმოდგენისგან განსხვავებით სრულიად სხვა სახეს იღებს.

**— ვაშინგტონ-მოსკოვის, ნატო-რუსეთისა და დასავლეთისა და რუსეთის შორის ურთიერთობების გაუმჯობესების ფონზე, 2011 წლისთვის როგორია საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პერსპექტივები?**

— რაზეც მე ვისაუბრე, გრძელვადიან პერსპექტივას ეხებოდა. დასავლეთი რუსეთთან მიმართებაში არა რუსეთის განცხადებებით, არამედ რეალური ქმედებებით იმსჯელებს.

იხ. 5 გვ.

◎ გვეკაიფებიან თუ დაგვცინიან?

*„ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია!..“ — ვერ გეტყვით, კონკრეტულად რასთან ან ვისთან დაკავშირებით ამოიკვნესა თავის დროზე პოეტმა ეს სიტყვები, მაგრამ ამჟამად მე რომ ვარ მასზე ცუდ დღეში, ფაქტია: ვის შევჩივლო ჩემი გასაჭირ-საფიქრალი, რუბიკა რომ მკვდარია? უფრო სწორად, რუბიკა კი არა, მართლაც კარგი მსახიობი ფრუნზიკ მკრტჩიანი — იმისი, რუბიკ ხაჩიკიანის, როლის შემსრულებელი — რომლის ენა-პირითაც ითქვა „მიმინოში“ ცნობილი ფრაზა: „უ ნას, ვ დილიჟანე, პრასტოი კრან ატკროეშ, ტაკაია ვადა იდიოტ, ვტოროე მესტო ვ მირე ზანიმაეტ“.*

*ამით გაღიზიანებული ვალიკოს რეპლიკაც გეხსომებათ: — ა პერვოე გდე, ვ ერევანე, და?*

*— ნეტ, ვ სან-ფრანცისკო!*

# რაკი რუბიკა მკვდარია, ტყუილის სიმართლედ შემოსაღებას გვიპირებთ, ბატონო ალეკო, და თანაც გვეღადავებით?

ასე თქვა რუბიკამ და, მეც დავიჯერე.

ანკი რად არ უნდა დამეჯერებინა? არც ერთ სომეხს, რანგისა თუ მდგომარეობის მიუხედავად, არასდროს და არსად, ფილმსა თუ რეალურ ცხოვრებაში, რაიმე ტყუილი რომ არ უთქვამს და, მით უფრო, სხვისი კუთვნილი რამ მიუსაკუთრებია კი არა, ამაზე ფიქრიც რომ არ გაუვლია გულში, ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი?

ჰოდა, მეც რად შემეპარებოდა ეჭვი რუბიკას ნათქვამში?

მაგრამ ახლახან ალეკომ, ხეთაგურმა რომ ეჭვები ამიფუთფუთა ამ, როგორც იქნა, პოზიციაჩამოყალიბებულ კაცს, მტრისას!

აი, ნახეთ, რას წერს გაზეთ „ვერსიაში“.

**„წყლის გადასახადს რომ არ გადაიხდიან და დენს ჩაუჭრიან, მიხვდებიან, რომ გადასახადის გადახდა აუცილებელია.**

**წყლის გადასახადი არც ისე ძვირია, როგორც გგონია. ონკანს რომ მოუშვებ და ისეთი წყალი მოდის, მსოფლიოში მეორე ან მესამე ადგილი უჭირავს და მოიხმარ, კარგია, მაგრამ საფასური არ უნდა გადაიხადო?“**

რა ვქნა ახლა?

არ დავიჯერებ, ვაია, დავიჯერებ და — ვუი!

არადა, როგორ გინდა, არ დაიჯერო! კაცი, ბოლოს და ბოლოს, ენერგეტიკის მინისტრია (ჰაი, გიდი, სამართალო!!ძ!

მაგრამ თუ მას დავუჯერე, რუბიკას რა ვუყო? იმას თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, სულ მცირე, ჩვენი წელთაღრიცხვამდელი „გაშლიფოვკებული“ და მასზე სათანადო წარწერაამოტვიფრული (სომხური „წარმოშობის“ დამადასტურებელიძ ერთი ლოდი მაინც ხომ უთუოდ ექნებოდა?

მაგრამ რაკი იგი მკვდარია და ვერ შემოგედავებათ, ტყუილის სიმართლედ შემოსაღებას გვიპირებთ, ბატონო ალეკო, მსოფლიოში მეორე ან მესამე ადგილზეა ჩვენი წყალიო, მისი მტკიცების საწინააღმდეგოდ რომ გვიმტკიცებთ?

**რატომ ჰგონია მაძღარ ენერგეტიკის მინისტრს ლატაკი ხალხიც თავისავით დანაყრებული და რად მოძღვრავს მას ასე უშურველად და „ნატიფი“ იუმორით?**




დავწერე, დავსვი სასვენი ნიშანი და უნებურად, თითქოს პოეტის სტრიქონების გავლენით, „რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი“..., საკუთარ თავზე გავბრაზდი — **რა დროს უკბილო ხუმრობა თუ ღადაობაა, როდესაც დაგვცინის, ლამის შაყირის დონე-კილოზე გვემასხრება თუ გვამასხრებს რევოლუციური განწყობის ტალღით და ჩვენივ უნდილობა-დაბდურობით ხელისუფლების ოლიმპზე ატყორცნილისგან ხელდასხმული გაზულუქებული ჩინოვნიკი, ამ სიტყვის ცუდი გაგებით!!**

უფალო ჩინოვნიკო, ბედის ირონია და „გაუგებრობა“ რომ არა, არამცთუ მინისტრობა, საქენერგოს რომელიმე რაიონული სადგურის ხელმძღვანელობაც კი დიდ ბედნიერება-გამართლებად რომ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, თუ იცით, რა განსხვავებაა ორ ქართულ სიტყვას **„არასა“** და **„ვერას“** შორის?

**„არ“ იხდიან კი არა, „ვერ“ იხდიან გადასახადს ის უაღრესად შეჭირვებული, არამცთუ სიღარიბის, არამედ სიღატაკის ზღვარს მიღმა თუ მის ქვემოთაც მცხოვრები ადამიანები, რომელთაც თქვენნაირთა გაუმაძღრობისგან დაძაბუნებული ბიუჯეტი შვებას ვერ აძლევს** (ან კი როგორ მისცემს და რანაირად არ იქნება დაუძლურებული, როდესაც ხალხის დღევანდელი ლამის გაუსაძლისი ყოფის ფონზე ისედაც უზარმაზარი ხელფასების მქონენი იმ უზარმაზარ სარგოზე ორჯერ და სამჯერ მეტ პრემია-დანამატსაც თავადვე ინიშნავთ და ღებულობთ ყოველთვიურად?ძ!

ერთიც, ცხოვრებისგან დაუმსახურებლად გალაღებული ჩინოვნიკო — **თუ არ იცით, არ გსმენიათ მაინც, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ნათქვამის ტონს?**

წყლის გადასახადს რომ არ გადაიხდიან და დენს ჩაუჭრიან, მიხვდებიან, რომ გადასახადის გადახდა აუცილებელიაო, — ერთგვარი ნიშნის მოგებით და თითქოს გახარებისგან მკერდზე მჯილის ბაგუნით რომ ამბობთ, სლენგისთვის ბოდიში და, დაერხევათო, არა გრცხვენიათ? **ხალხისთვის ამ მეტად მტკივნეულ თემაზე საუბრისას, სწორედ როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, გულისტკივილით არ უნდა გეთქვათ, — თუმცა ვიცით, როგორ უჭირს ხალხს, მაგრამ არსებული რეალობის გათვალისწინებით, იძულებული ვართ, წავიდეთ, რბილად თუ ვიტყვით, ამ არაპოპულარულ ნაბიჯზეო?**

თქვენი ნააზრევის წაკითხვისას ხალხს ვერ უნდა ეგრძნო, რომ თქვენ, ხელისუფლების წარმომადგენელი, შეწუხებული ხართ მისი ცხოვრების პირობების მორიგი გაუარესებით?

თქვენ კიდევ, — არ გადაიხდიან და, ნახონ, როგორ დაერხევათო (კვლავაც ვიხდი ბოდიშს ჟარგონისთვის!

**რა გიხარიათ, ასეთი „პერსპექტივა“ რად გახალისებთ, ჩინოვნიკო, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, დათვის ბიძაშვილი ხართ თუ ჩვენი?**

არ მითხრათ ახლა, მე და, საერთოდ, ჩვენი ხელისუფლება რა შუაში ვართ, ჩვენ ხომ არ ვზრდით მაგ გადასახადებს, კომპანიათა უცხოელი მეპატრონენი ზრდიანო!

**კი, მაგრამ თუ ადამიანს ელექტროენერგიის საფასურის დავალიანება არა აქვს, მაგრამ წყლის გადასახადს ვერ იხდის, დენი რატომ უნდა ჩაუჭრან? ან რის საფუძველზე?**

რაო, სხვაგვარად კომპანიის უცხოელი მეპატრონე აბონენტთათვის მიწოდებული წყლის საფასურს სრულად ვერ ამოიღებსო?

როგორ ვერ ამოიღებს! თანაც თუ მაინცდამაინც ძალადობრივ მეთოდებზე ვაკეთებთ აქცენტს, კეთილი ინებოს ამ მუქთი მოგების მიღების მოსურნე მეპატრონემ, ჯიბეზე ხელი გაიკრას და ყოველ აბონენტს წყლის ინდივიდუალური მრიცხველი დაუყენოს. ამ შემთხვევაში ხომ მხოლოდ „ურჩი“ გადამხდელი დაისჯება?

რაო, რაო? ძვირი დაუჯდებაო?

ამიტომ გკითხეთ, თქვენ დათვის ბიძაშვილი ხართ თუ ჩვენიმეთქი!

წყლის გადასახადი არც ისე ძვირიაო, — ბრძანეთ, ჩინოვნიკო!

გაარჩნია, ვისთვის!

ახლახან ჩვენი გაზეთი წერდა კიდევ ერთ ჩინოვნიკზე, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ასანიძეზე, უფრო სწორად, მის გამონათქვამზე — **„...მეც ჩვეულებრივად ვცხოვრობ, დავდივარ ბაზარში და პატიოსნად ვიხდი გადასახადებსო“** (ისე, სხვათა შორის, უფალო ენერგეტიკოსო ჩინოვნიკო, გიორგი ასანიძის იმ საგაზეთო ინტერვიუში ბევრად უფრო ადამიანურად არის თქმული სათქმელი — **„სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას არა აქვს ფუფუნება, რომ მოქალაქეებს გადასახადები არ გადავახდევინოთო“**.

თქვენ კიდევ, თუ არ გადაიხდიან, ნახავენ რაც დაემართებათო!

თქვენც ასევე **„ჩვეულებრივად ცხოვრობთ და პატიოსნად იხდით გადასახადებს“**, ჩინოვნიკო (რა ვქნა, ხალხისადმი თქვენი ასეთი აგდებული დამოკიდებულებისა და იქედნური ტონით მიმართვის გამო თქვენთვის მინისტრობით მიმართვა არ მემეტება!ძ?

*თქვენნაირი შემოსავალი გაუჩინეთ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს და თქვენზე ნაკლები პატიოსანი თუ გადასახადების პატიოსნად გადამხდელი ნებისმიერი იმათგანი შემირცხვენია!*

*ვაი ჩვენს პატრონს! ახია ჩვენზე, თქვენისთანებს და თქვენნაირებით დაკომპლექტებულ მთავრობას რომ ვითმენთ!*

*რუსლან რუსია*

◎ უკუღმამკეთებელნი!

# ვინ გადაამონტაჟებს ამ სიმძიმის ცენტრდარღვეულ ხელისუფლებას?

## გასაკეთებელი მართლაც კიდევ ბევრია, ოღონდ, წაღმა, ბატონებო!

**იმერეთში ერთი კარგი გამოთქმა იციან: როცა ბავშვი რაიმეს ისე კი არ გააკეთებს, როგორც საჭიროა, არამედ პირიქით, „უკუღმა გაკეთებული ხარო“, ეუბნებიან.**

**ჩვენს ქვეყანაში გასაკეთებელი რომ კიდევ ბევრია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ბევრია, თანაც, რაც მთავარია, წაღმა გასაკეთებელი.**

**რატომ და რის საფუძველზე ვამბობ ამას? მოგახსენებთ.**

კი ვიცოდი, ეს ხელისუფლება თავისი ნიჭით, უნარითა და საქმის ცოდნით რომ არ გამოირჩეოდა, მაგრამ მთლად „უკუღმა გაკეთებული“ ბავშვებით თუ იქნებოდა დაკომპლექტებული, ამას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. თუმცა მე კი არა, თვით ხელისუფლების საყვარელი ევროპელი ინვესტორებიც ვერ იფიქრებდნენ, რომ აღმშენებლობის გზაზე ასეთი ტემპით მიმავალი მთავრობისთვის სულ უკუღმა კი არა, წაღმა ქენი ასინეთა, წაღმაო, უნდა ეძახათ.

ჰოდა, ამ „უკუღმა გაკეთებულების“ წყალობით, სვანეთში სათხილამურო სეზონის გახსნა და ამითი „ბელადისთვის“ — მიხეილ სააკაშვილისთვის დაბადების დღის მილოცვა გარკვეული დროით გადაიდო.

გადაიდო ანეკდოტური მიზეზის გამო: რომ **სათხილამურო ტრასამდე ხალხის მისაყვანი საბაგირო გზის ბაგირების დამჭერი ბოძები... თურმე უკუღმა ყოფილა დამონტაჟებული, რის გამოც სიმძიმის ცენტრი... ჰაერში მოექცა.**

რატომ იცინით? ეს სასაცილო კი არა, სატირალია!

დიახ, სატირალი, რადგანაც, **საბაგირო გზის ჰაერში დარჩენილ სიმძიმის ცენტრსაც ეშველება, იმ ბოძებსაც ხელახლა დაამონტაჟებენ და ტურისტებიც დატკბებიან სვანეთის სილამაზით, მაგრამ ამ ჩვენი ხელისუფლების საქმე როგორ იქნება, ნამდვილად არ ვიცი.**

**ვინ გადაამონტაჟებს მას, სიმძიმის ცენტრდარღვეულ ხელისუფლებას?**

თუმცა ამ ხელისუფლების წარმომადგენლები რიხიანად ამბობენ, ისეთი არაფერი მომხდარა და ყველაფერი „აჟურში“ იქნებაო (რაო, პირველად გამოუვიდათ უკუღმა ნაქნარი და მერე მისი გამოსწორებისთვის უამრავი თანხა არ დაუხარჯავთ თუ რა?!ძ, იტალიური კომპანია „ლაიტნერის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გაფუჭებული საქმის გამოსწორება დამატებით ხარჯებსა და დროს მოითხოვს (რა თქვა სააკაშვილმა ჩაშლილ დაბადების დღესთან დაკავშირებით, უცნობიაძ.



სახელისუფლებო არხებმა ჩვეულ სტილში გააშუქეს ეს ფაქტი და გაგვახარეს, რომ სასტუმროების მფლობელებს პრობლემები არ შეექმნებათ, რადგან სვანეთში მშენებელთა გაზრდილი პერსონალია ჩასულიო **(ეჰ, ტელევიზიებსაც ჰქონიათ სიმძიმის ცენტრი ჰაერში გამოკიდებული).**

**როგორც ვატყობ, უნდა „დავასტოპო“, თორემ თუ კიდევ გავაგრძელე, „სიმძიმის ცენტრდარღვეულთა“ და „უკუღმა დამონტაჟებულთა“ რაოდენობა ძალიან გაიზრდება.**

**ამიტომ უბრალოდ ვიტყვი: — წაღმა, ასინეთა! წაღმა!**

**გია გაბრიჭიძე**

## „რეფორმატორთა“ ერთიანი საზომი

# „ქარავანი მიდის“...

**დამშეულს საკვები შეიძლება ვინმე ღვთისნიერმა მიაწოდოს, მაგრამ სულიერებისაგან გაძარცვულის შველა შეუძლებელია და მას გარანტირებული აქვს მარადიულ სიბნელეში ყოფნა, უცხო კერპების თაყვანისცემა. საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი და მოწყალებაზე ორიენტირებული ერი განწირულია.**

„ვარდების რევოლუციამ“ ასაკოვანი ადამიანები ზედმეტად რომ გამოაცხადა, ადგილობრივმა და უცხოელმა ექსპერტებმა ეს ევროპეიზაციის აუცილებელ პირობად შემოგვასაღეს, როგორც რეფორმატორთა ბრძნული გადაწყვეტილება. ბნელეთმა დაჩაგრა სინათლე. „ცრურეფორმატორებმა“ უსამართლობას სამართლიანობა დაარქვეს, სიცრუეს – ჭეშმარიტება, უაზრო ყბედობას – სიბრძნე, უვიცს – მცოდნე, გაუნათლებელს – განათლებული. ასეთ ქვეყანაზე იტყვიან, ჩალითაა დახურულიო.

უცხოელი ჭკუის მასწავლებლები ჩალაზე ჩალას ამატებენ, რასაც ჩვენი ჩინოსნები (დიდნი და მცირენი) უანგარო ზრუნვად გვიხატავენ.

ისმის კითხვა, რატომ გვიქართულებენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი უცხოელთა ნაძალადევ აბდაუბდას ღვთის სიტყვად და ფრთოსანი ანგელოზის გამოცხადებად? საქართველოს Uia dolorosa (ტანჯვის გზა) გრძელდება. უკანასკნელი დღეების მოვლენებმა დაჩრდილა წინა წლების ავად მოსაგონარი ამბები. განსხვავება ძალიან დიდია. თუ ადრე საქმე ეხებოდა ასაკოვან ადამიანებს, ამჯერად ხელისუფლების სამიზნედ იქცნენ უასაკონი, ის მოზარდები, რომლებმაც მოითხოვეს გამოცდები „რეფორმატორთა“ მიერ დადგენილი პროგრამის ფარგლებში ჩაებარებინათ. მარტივმა სიტუაციამ გამოავლინა ევროპული სტანდარტების მქადაგებელთა ნამდვილი მიზანი. შელახული ღირსებებით ცხოვრებას ქართველი სკოლის მერხიდანვე უნდა შეეგუონ.

ჩვილ ბავშვს სიარულს მშობელი ასწავლის. მოზარდის მასწავლებელი არის სკოლა. ასე იყო წარსულში და ასეა დღესაც ნორმალურ ქვეყნებში. რევოლუციურმა ხელისუფლებამ სკოლას და წიგნს (როგორც გადმონაშთს) დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. სიახლეთა მქადაგებლებმა ქართულ სკოლაში ქვა ქვაზე არ დატოვეს. **თანამედრვოე „ტექნოლოგიებით“ დატვირთულმა „რეფორმატორებმა“ წიგნის ეპოქის დასრულება ზარ-ზეიმით გვაუწყეს და მედიდური ტრაბახით ყურები გამოგვიჭედეს. საერთო ეროვნულმა გამოცდებმა და უნარებზე ყურადღების გამახვილებამ წიგნიერ განათლებას საფუძველი გამოაცალა. რეფორმატორებს რამდენიმე წლის შემდეგ გაახსენდათ (SIC!), რომ ცოდნა თურმე საჭირო ყოფილა. თანაც გაახსენდათ მაშინ, როცა ექსპერიმენტის ობიექტები მეთორმეტე კლასში გადავიდნენ (მრავალ გაუგებრობათა შორის ეს მეთორმეტე კლასიც ხომ არაფრის მომცემი და დროის ამაო კარგვაა) და დააყენეს ფაქტის წინაშე, ჩააბარონ ის, რაც არ უსწავლიათ (არ ასწავლეს). სამი წლის პროგრამის გავლა ერთ წელიწადში (თანაც ფუნდამენტურ საგნებში) რომ შეუძლებელია, საკამათო არ უნდა იყოს. ამიტომ გამოთქვეს პროტესტი და მოითხოვეს იმის ჩაბარება, რაც თავის დროზე განუსაზღვრეს ბრძენმა „რეფორმატორებმა“.** აბდაუბდა სახელმძღვანელოებით მოსწავლეებს არ აქვთ თანამიმდევრული წარმოდგენა ფიზიკაზე, ქიმიაზე, ბიოლოგიაზე (არავინ მიაქცია ყურადღება პროფ. მ. ჯიბლაძის შეგონებებს). ისტორიისა და გეოგრაფიის ერთად სწავლების შედეგი არის ის, რომ ბავშვმა არც ისტორია იცის და არც გეოგრაფია. (რაოდენ უტაქტოდ მოიქცა ჟურნალისტი, რომელიც შეეცადა თავისი ცოდნის დემონსტრირებას და აღელვებულ გოგონას ქუჩაში მოუწყო გამოცდა, შემდეგ კი გამარჯვებული ტონით ამცნო საქართველოს, რომ ჩაჭრა. აქედან ჩანს: ადამიანები ერთმანეთზე არ ფიქრობენ. იმ ბავშვს რომ ეპასუხა, ისტორია სკოლაში არ მისწავლიაო, არც ეს არის გამორიცხული რას ეტყოდა?).

**ჩვენი რევოლუციური ხელისუფლება დიდსა და პატარას ერთი საზომით უდგება. ბავშვს არ უნდა ელაპარაკო ისე, როგორც ზრდასრულ ადამიანს. დავუშვათ მოსწავლეები არ არიან მართლები. ამის შესახებ მათ გულდასმით აუხსნა ვინმემ თუ მანდატურთა (ქართული საგანმანათლებლო სისტემის ბურჯთა) საიდუმლო პატაკის საფუძველზე გამოუტანეს განაჩენი. არავინ გაითვალისწინა ის რეალობა, რომ 17 წლის გოგობიჭები, პიროვნებად ჩამოყალიბების ასაკში არიან და საკმოად არგუმენტირებული პრეტენზიების პასუხად სამშობლომ მათ „ოროსნები“ უწოდა. მოექცა არა როგორც საკუთარ შვილს, არამედ როგორც გერს (ქართული ზღაპრების პოპულარული პერსონაჟების მსგავსად).** არავინ გაითვალისწინა ისიც, რომ იმ „ოროსნებში“ რამდენი სახელოვანი ქართველი იმალება. მთელი თაობის



შავ სიაში შეყვანის შედეგად მივიღეთ საკმაოზე მეტად უხერხული რეალობა. მოსწავლემ დაუსტვინა ქვეყნის მწიგნობართუხუცესს, რადგან დაინახა, რომ მისი მოქმედება არ ემსახურება სკოლისა და განათლების საქმეს.

ხელისუფლებამ საკუთარი დანაშაული ბავშვებს გადააბრალა და დამნაშავეებიც აღმოაჩინა „ოროსანი რევოლუციონერების“ სახით. ბატონო ძლიერნო ამა ქვეყნისანნო, ხანდაზმულებს რომ არ აქცევთ ყურადღებას, დღესავით ნათელია, მაგრამ ამ ბავშვების მიმართ მაინც გამოიჩინეთ გულისხმიერება. რამდენიმე წლის წინათ უნივერსიტეტის პროფესორებს „მეამბოხეები“ უწოდეთ, დღეს სკოლის მოსწავლეები (თანაც „ოროსნები“) რევოლუციის მომწყობთა სახელით მონათლეთ, მაშინ, როცა დამნაშავენი თქვენ ბრძანდებით, ხოლო შერისხულთა ორივე კატეგორია ა. ლომაიას ეშმაკეული ნაღვაწის მსხვერპლნი არიან. დიდმოხელე (ამ შემთხვევაში ა. ლომაია) ერის მომავალს საექსპერიმენტო ცდების ობიექტად რომ აქცევს და ეს ექსპერიმენტი სრულ კრახს განიცდის, პასუხი ვინ უნდა აგოს?

ბავშვები გამოვიდნენ სკოლის კედლებს გარეთ (სწორად მოიქცნენ თუ არა, ამას მომავალი განსჯის). როგორ შეხვდა საზოგადოება უმწიფარი ახალგაზრდობის პროტესტს? სრულიად მშვიდად და აუღელვებლად. განმეორდა ოთხი წლისწინანდელი ფაქტი, როდესაც „ცრურეფორმატორებმა“ უნივერსიტეტის პროფესორებს თავიანთი ტაძარი პოლიციის ძალით დაატოვებინეს, საქართველო სეირის მაყურებლის როლით დაკმაყოფილდა. მაშინდელი გამოსვლა მიმართული იყო მეცნიერებისა და განათლების მესაფლავეთა წინააღმდეგ. ძალამ გაიმარჯვა და მიგვიყვანა დღევანდელ გაუგებრობამდე. ხელიუფლებამ პროტესტის მონაწილეებს „მეამბოხეები“ უწოდა, რაც საბოლოოდ „წვრილმანი ხულიგნობის“ განაჩენით დააკანონა რევოლუციური საქართველოს რეფორმირებულმა სასამართლომ. ეს ზნეობა თუ ვინმეს დაავიწყდა, მას მეხსიერების სერიოზული პრობლემა აქვს და მკურნალობას საჭიროებს. საყოველთაოდ ცნობილია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩადენილ ბოროტებას ისტორია ასამართლებს.

**ქართული განათლების მესვეურებმა და უცხოელ „ექსპერტთა“ მოწონებულმა რეფორმამ, ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია, ისტორია-გეოგრაფია ერთმანეთში ისე აურია, ისეთი აბლაბუდა დახლართა, რომ როგორი მონაცემებისაც არ უნდა იყოს, მოსწავლე გზას ვერ გაიგნებს. ამავე დროს, ვინც ეს ჩაიდინა, შეცდომის აღიარებას არ კადრულობს (ის ხომ საერთოდ უშეცდომოა). გამოცდების იოლ ფორმებში ჩატარების დაპირება ნიშნავს თუ არა დაშვებული შეცდომის აღიარებას? რას ნიშნავს იოლი გამოცდა! მოითხოვე რაც ასწავლე და პრობლემაც არ იქნება. რატომ ვატყუებთ ახალგაზრდებს? თუ არ იცის და ნიშანს დავუწერთ, ამით ცოდნა მოემატება? ესეც ხომ დანაშაულია?**

ამ საერთო უთანხმოების ფონზე გამოდის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დ. შაშკინი და წარბშეუხრელად აცხადებს: **მსოფლიო ბანკმა საქართველოში ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გამოირკვა, მოსახლეობის 65 პროცენტი იწონებს განათლების სფეროში გატარებულ რეფორმებს და მანდატურთა ინსტიტუტის შექმნას. ეს არის პირდაპირი პასუხი იმათი მისამართით, რომლებიც თვლიან, რომ რეფორმებმა განათლების გაღრმავებას კი არ შეუწყო ხელი, არამედ ჩამოაქვეითა.** დიდი ბოდიშის მოხდით უნდა ვაუწყო ბატონ მინისტრს, რომ ჩვენთვის გამიზნული ზღაპარი მანდატურების შიშით დაზაფრულ სკოლაში დირექტორებსა და მასწავლებლებს მოუყვეს. თუ თვითონ მიაჩნია, რომ ბნელა, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ქართველთა უმრავლესობას კი ჯერჯერობით სმენაც აქვს და მხედველობაც (ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ მინისტრს, რომელსაც მოსწავლეებმა დაუსტვინეს, ასეთი „სასახელო“ ინფორმაციის მიწოდებისგან თავი უნდა შეეკავებინა). საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსი კვლევების გათვალისწინება მიაქანებს ქართულ განათლებას გამოქვაბულისაკენ.

იხ. 6 გვ.

## შეფასება

# 2010 წელი უგმირო წელი იყო

**(მესამე გვერდიდან)**

რეალური ქმედებები, ანუ ინდიკატორები, რომლითაც შესაძლებელია რუსეთის ქცევის დასავლეთთან მიმართებაში განსაზღვრა, არის ძალიან საინტერესო. რუსეთი დასავლეთის ლიდერობას ნელ-ნელა აღიარებს. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ყირგიზეთში არეულობების დროს მოსკოვი ბიშკეკის საქმეებში პირდაპირ არ ჩაერთო, მიუხედავად იმისა, რომ ყირგიზული მთავრობა მისგან პირდაპირ ინტერვენციას ითხოვდა. მოსკოვმა საბოლოოდ თქვა უარი ბელორუსთან ე.წ. სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნაზე. როცა ლუკაშენკო საქართველოს მოკავშირე ხდება, ამაზე საუბარი სასაცილოც არის და ფაქტიც სალაღობოა. შემდეგი არგუმენტი გახლავთ რუსეთის არმიის ისეთი გადაწყობა და შემცირება, რომ დასავლეთს ველარავითარ საფრთხეს ვერ შეუქმნის. დღევანდელი რუსეთი პოლონეთის კალიბრის ქვეყანასაც ვერ შეუქმნის პრობლემას დამოუკიდებლად. იგივე ითქმის პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზაციაზე. ალბათ ამის საფასურად რუსეთის ელიტა მსოფლიო პოლიტიკურ ელიტაში ინტეგრირებას მოითხოვს. მსოფლიო პოლიტიკური ელიტა, უპირველესად დასავლეთს ვგულისხმობ, რუსეთის ელიტას სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილივით უყურებს, ანუ იმ „გაუთლელ ტიპებად“ მიიჩნევს, რომლებსაც მათი რესურსებიდან გამომდინარე, ასეთი ამბიციები არ უნდა ჰქონდეთ. არსებული ვითარება ჩვენზე იმით აისახება, რომ 2010 წლის ვითარება შენარჩუნდება და 2011 წელსაც გაყინული იქნება.

**— როგორ შეაფასებდით რუსეთში განვითარებულ პროცესებს, ნაციონალისტების და ჩრდილოეთ კავკასიელების დაპირისპირებას? და სავარაუდოდ, როგორ აისახება ეს, ერთი მხრივ, რუსეთისადმი აშშ-სა და დასავლეთის, ხოლო, მეორე მხრივ, მოსკოვ-თბილისის ურთიერთობებზე?**

— აქ ორი ასპექტი უნდა გამოვყოთ. ერთი, გრძელვადიანი ტენდენცია, რასაც რუსეთში აქვს ადგილი და მეორე – მოკლევადიანი პერსპექტივა, ანუ როგორ აისახება იგი ჩვენზე და საერთოდ მსოფლიოზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში გასაგებია, რა პროცესთან გვაქვს საქმე. რუსეთმა ვერ მოახერხა პოსტიმპერიული გადაწყობა, ანუ ის მეთოდები და ხერხები, რომლითაც ის ცდილობს, გადაეწყოს და შეინარჩუნოს მეტ-ნაკლებად გავლენიანი სახელმწიფოს სტატუსი, არაადეკვატურია. თუ შევხედავთ ისეთ მზარდ სახელმწიფოებს, როგორებიც არის ინდოეთი და ბრაზილია, გასაგებია, რომ ამ პერსპექტივაში რუსეთი მზარდი გავლენის სახელმწიფო ვერ იქნება. მაგრამ, რუსეთი ჩვენი მეზობელია და ჩვენ ჩვენზე უნდა „ვიტიროთ“. ჩინური ანდაზა – მეგობრებს ირჩევენ, მეზობლებს – არა – გათვალისწინებული უნდა იყოს, უნდა ვიყოთ ყველა სცენარისთვის მზად. თუმცა, საუბარი იმაზე, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში რუსეთის არსებობას საფრთხე შეექმნება, რასაკვირველია, აბსურდია.

შიდარუსული პოლიტიკისთვის ნაციონალიზმი ძალიან ძლიერი გავლენის ფაქტორი ხდება. შედეგად, დასავლეთი რუსეთში მხარს ნებისმიერ ისეთ პოლიტიკოსს დაუჭერს, რომელიც რუსეთში ნაციონალისტური ტალღის წარმართვას სასურველ კალაპოტში მოახერხებს. უხეში ენით რომ ვთქვათ, ნაციონალიზმის ტალღამ მედვედევის პოზიციები მკვეთრად შეასუსტა, ხოლო პუტინისა გააძლიერა. თუ ადრე პუტინი სხვადასხვა მიზეზების გამო დასავლეთისთვის მიუღებელი და მედვედევი უფრო სასურველი იყო, ახლა რუსული ნაციონალიზმით შეშფოთებული დასავლეთი მედვედევის ნაცვლად პუტინს დაუჭერს მხარს. დასავლეთში კარგად ესმით, რომ მომძლავრებულ რუსულ ნაციონალიზმთან ბრძოლა მედვედევს გაუჭირდება.

დასავლეთში არ გამორიცხავენ, რომ რუსეთში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შემთხვევაშიც კი, ხელისუფლებაში სულაც ნაციონალისტები მოვიდნენ. ასეთ ვითარებაში დასავლეთი პუტინს ამ ნაციონალისტური ტალღის შესაკავებლად მხარს დაუჭერს.

**კობა ბენდელიანი**

## წერილი იტალიიდან

*უმუშევრობამ და საარსებო მინიმუმის ძიებამ ასიათასობით ჩვენი თანამემამულე აიძულა, რომ ფიზიკური გადარჩენის გზა საზღვარგარეთ მოეძია. მათ შორის აღმოჩნდა ქუთაისში კარგად ცნობილი ინჟინერი, ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ქალბატონი ლური მაღლაფერიძე, რომელიც რამდენიმე წელიწადია იტალიაში ცხოვრობს და მუშაობს.*

*მისი პუბლიკაცია, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ეძღვნება გენდერულ პრობლემებთან დაკავშირებით იტალიის ქალთა ცენტრის მოღვაწეობას და იმ დახმარებას, რომელსაც ეს ორგანიზაცია უწევს იტალიური ენის უცოდინარ და ნაკლებად მცოდნე შეჭირვებულ უცხოელებს, მათ შორის ქართული დიასპორის წარმომადგენლებსაც.*

*ქალბატონი ლური ამჯერად გთავაზობს ტოსკანის რეგიონისა და ქალაქ პიზის ქალთა ცენტრების პრეზიდენტებთან მარია ლეტიციასთან, ელიზაბეტ კოპალასთან (ქალბატონი ელიზა ამასთან უცხოელთათვის განკუთვნილი იტალიურის შემსწავლელი სკოლის დირექტორია), სკოლის პროფესორთან, ქალბატონ კარლა ვალეჯთან და სხვებთან საუბრის ჩანაწერს.*

# დავბრუნდებით, აუცილებლად დავბრუნდებით!

– ქალთა ცენტრი ენთუზიასტთა თაოსნობით შეიქმნა. – გვითხრა ელიზაბეტ კოპალამ. – ასოციაციის წევრთა უმეტესობა სხვაგან არ მსახურობს და ხელფასს არც აქ იღებს. ორგანიზაცია არსებობს საწევრო შენატანებით.

– ჩვენი ორგანიზაციის ყველა წევრი მოხალისეა, მათ შორის ისინიც, ვინც სხვაგან მსახურობს. სამუშაოზე დასაქმებულთაგან უმეტესობა განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროს წარმომადგენელია. – საუბარში ერთვება ქალბატონი კარლა ვალეჯი.

**კორესპონდენტი:** როგორია მუშაობის შედეგები, რამდენად შეესაბამება იმ ვალდებულებებს, რომლებიც ორგანიზაციას აქვს?

**ე. კოპალა:** დაკისრებული მოვალეობის შესრულება ყოველთვის იოლი როდია, მაგრამ რადგან ამ საქმეს მოხალისეები ემსახურებიან, ამიტომ ასოციაციის თითოეული წევრი თავისი ვალდებულების შესრულებას მთელ თავის შესაძლებლობას ახმარს.

**კ. ვალეჯი:** ასეთი აქტიურობა ბევრ რამეში გვეხმარება იმის მიუხედავად, რომ თითოეული მოხალისე ჩვენთან კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოდის.

**კორესპონდენტი:** საქართველოში განათლებული ხალხი ცხოვრობს. ჩვენში ბევრმა ძალიან კარგად იცის, რა წვლილი შეაქვს იტალიას მსოფლიო კულტურის განვითარებაში. მართალია, თქვენს ქვეყანაში სამუშაოს ძიებამ ჩამოგვიყვანა, მაგრამ ამასთან გვაინტერესებს, უკეთ გავიცნოთ იტალია და მისი ღირსშესანიშნაობები. რა ფორმით ფიქრობს ენის შემსწავლელი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რომ მისი სტუდენტები უკეთ გაეცნონ იტალიური ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებს?

**ე. კოპალა:** მართალია, ჩვენი სკოლა ძირითადად იტალიური ენის სწავლებას ემსახურება, მაგრამ პროგრამა ისეა შედგენილი, რომ ენის დაუფლების პარალელურად სტუდენტებს ვთავაზობთ ლექციებს ხელოვნების შესახებაც და ვაცნობთ ქალაქ პიზაში არსებულ ღირსშესანიშნაობებს. ჩვენი მსმენელები სწავლობენ იტალიური მუსიკის ისტორიასა და დღევანდელობას. ამ საკითხებზე მათ ლექციებს ცნობილი პროფესორები უკითხავენ. ეცნობიან აგრეთვე იტალიური სამზარეულოსა და სუფრის თავისებურებებს.

**კ. ვალეჯი:** ჩვენი პედაგოგები ცდილობენ, რომ მათი მსმენელებისათვის რაც შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს იტალიის კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები.

**ე. კოპალა:** ეს პროცესი ცალმხრივი არაა. როგორც წესი, წლის ბოლოს, საშობაო არდადეგების პერიოდში, ქალთა ასოციაცია სკოლაში აწყობს საზეიმო შეხვედრებს, სადაც პროფესიონალები ასრულებენ იტალიურ სიმღერებს, ხოლო სტუდენტები მნახველებს აცნობენ თავიანთი ქვეყნების ხელოვნებასა და კულტურას. ეს მსჯელობისა და პედაგოგებთან სტუდენტების ურთიერთობის დამატებითი საშუალებაა და კიდევ უფრო ააქტიურებს ენის დაუფლების პროცესს.

– იტალიაში 5 წლის ჩამოსული ვარ, აქედან 4 წელიწადია იტალიური ენის შემსწავლელი სკოლის სტუდენტად ვითვლები, – მიყვება ჩვენი თანამემამულე **ფატიმა ლოსაბერიძე,** რომელსაც უკვე 3 სერტიფიკატი აქვს. – ჩვენი სკოლის დირექტორი ელიზაბეტ კოპალა, რომელიც ამასთან ქალაქ პიზის ქალთა ასოციაციის პრეზიდენტია, უაღრესად განათლებული, მოსიყვარულე და საოცრად ყურადღებიანი ქალბატონია. იგივე ითქმის ჩვენი პედაგოგების, ქალბატონების კარლას, ფილომენას, ირენას, ფრანკას, ბატონი პიეროსა და სხვების შესახებაც.



**მარჯვნიდან: სტუდენტი ფატიმა ლოსაბერიძე, ე. კოპალა (თოვლის პაპა), მ. ლეტიცია და სტუდენტი ნ. კეკიშვილი**

სკოლაში არა მარტო სწავლება, არამედ ამასთან დაკავშირებული ყველა ატრიბუტიც უფასოა.

ხშირად გავდივართ სკოლის გარეთ. ვათვალიერებთ და ვეცნობით ღირსშესანიშნაობებს. საზეიმო დღეები დღესასწაულებს ეთმობა, საშობაოდ კი – კარნავალია, რომლის დროსაც ჩვენი უცვლელი თოვლის პაპა ტოსკანის ქალთა ცენტრის პრეზიდენტი ქალბატონი მარია ლეტიციაა.

ქალთა ცენტრის ყურადღება განსაკუთრებულია მაშინ, თუ რომელიმე ჩვენგანის ჯანმრთელობა შეირყა. ეს მე საკუთარ თავზე გამოვცადე. როცა გაირკვა, რომ სასწრაფო ოპერაცია მესაჭიროებოდა, ამას საკუთარი ოჯახის წევრივით განიცდიდნენ ქალბატონები მარია ლეტიცია, ელიზაბეტა კოპალა და ჩემი პროფესორი ფილომენა. მათ ჩემი პრობლემა წარმატებით გადაწყვიტეს და პონტოდერის არაჩვეულებრივ საავადმყოფოში ოპერაცია გამიკეთა საუკეთესო დასტაქარმა მასიმო სრებოტიმ. ეს ისეთი საავადმყოფოა, სადაც ქირურგიაში ნამდვილ სასწაულებს ახდენენ.

* * *

**განვაგრძობ საუბარს ჩემს იტალიელ რესპონდენტებთან.**

– გვაინტერესებს იტალიელი ქალბატონების გენდერული მდგომარეობის რამდენიმე ასპექტი, მათ შორის ოჯახი (ნიშნობა, ქორწინება და ა.შ.) და სამუშაო.

**კ. კოპალა:** იტალიელისათვის ოჯახი ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ზოგიერთი ქორწინების ნაცვლად არჩევანს მაინც თავის მიზანმიმართულ საქმიანობაზე აკეთებს. თუმცა ამ გზაზე ალბათობაც არ არის გამორიცხული – დასაქმება ხომ ეკონომიკაზეა დამოკიდებული. შეიძლება მუდმივი ადგილიც გქონდეს, მაგრამ ეკონომიკური კატაკლიზმის გამო სამუშაო მოულოდნელად დაკარგო.

ჩვენს ასოციაციაში რამდენიმე პედაგოგი მოხალისის სტატუსით მოღვაწეობს. ისინი ნებაყოფლობით მუშაობენ, ანაზღაურებას არ იღებენ, მაგრამ თავდადებითა და მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან.

– ოჯახთან დაკავშირებული რამდენიმე ჩვეულება უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენთან საკმაოდ შეიცვალა, – განგვიმარტავს კარლა ვალეჯი, – ნიშნობა არ არსებობს. მთავარია გრძნობა, შემდეგ ერთმანეთთან შეგუება-შეთვისება. იტალიურად საცოლეს ფილანცატა ჰქვია, საქმროს – ფილანცატო. ნაცნობობის მცირე მონაკვეთის შემდეგ, როგორც წესი, იწყება ქალვაჟის თანაცხოვრება – ქორწინების გარეშე ცოლქმრული ურთიერთობა, რაც ხშირად ქორწინებით მთავრდება, ზოგჯერ კი – წყვილების დაშორებით.

თუ წარსულში მშობლები შვილების გადაწყვეტილებებს ნაკლებად იცნობდნენ, ამჟამად წყვილები კვირის ბოლო დღეებს და შვებულებებს მათთან ატარებენ და ოჯახს ტოვებენ მხოლოდ მაშინ, როცა ქორწინდებიან ან ქორწინების გარეშე თანაცხოვრებისათვის მიდიან.

წყვილების ცხოვრებას დიდწილად განაპირობებს ეკონომიკა, კერძოდ ის, რომ ხშირად მათ დამოუკიდებლად ბინის შეძენა და ოჯახის რჩენა არ შეუძლიათ.

როგორც წესი, შვილები მშობლების ოჯახში 30 წლამდე და უფრო მეტხანს რჩებიან.

რაც შეეხება სამუშაოს, ქალი მუშაობს და სამსახურებრივ საქმიანობასა და ოჯახური მოვალეობების შესრულებას ერთმანეთს უთავსებს, მოზარდ თაობაზე კი დედასთან ერთად და ზოგჯერ მასზე მეტადაც ბებიები და ბაბუები ზრუნავენ.

რა პირობებშიც არ უნდა ცხოვრობდეს ქალი, იგი აქტიურ შრომაზე უარს მაინც არ ამბობს. რაც შეეხება მის სამსახურებრივ დაწინაურებას, ეს პრობლემა ინდივიდის უნარსა და შემართებასთანაა დაკავშირებული, თუმცა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქალის დანიშვნისას კაცთან შედარებით მცირე განსხვავება მაინც არსებობს.

**კორესპონდენტი:** იტალიელებთან საქართველოს ჯერ კიდევ ანტიკური ხანა აკავშირებს და პატივისცემით აღავსებს. ამასთან, მე თვითონ ვიყავი მოწმე, თქვენს ქვეყანაში რა რეაქცია გამოიწვია 2008 წლის აგვისტოს ამბებმა, როცა რუსეთი საქართველოს ბომბავდა. არასდროს დამავიწყდება ხალხის დამოკიდებულება და რომის პაპის მოწოდება, შეწყვეტილიყო ცეცხლი ქრისტიანთა შორის, რისთვისაც უაღრესად მადლიერები ვართ.

საინტერესოა თქვენი აზრი 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან და ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით.

**კ. ვალეჯი:** იმ რეალობას, რაც თქვენს სამშობლოსთან არის დაკავშირებული, ნაკლებად ვიცნობ, მაგრამ მწამს, რომ დიალოგით შეიძლება ყოველგვარი უთანხმოების მოგვარება.

იხ. 8 გვ.

## „რეფორმატორთა“ ერთიანი საზომი

# „ქარავანი მიდის“...

(მეხუთე გვერდიდან)

**ეს არის ევროპულ საგანმანათლებო სივრცესთან მიახლოების გზა? ასე გვესახება საქართველოს მომავალი? არის თუ არა ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველი ის ფაქტი, როდესაც ქუჩაში გამოსულ ათასობით მოზარდს „ოროსანს“ უწოდებ და მიუთითებ შრომის იმ იარაღებზე, რომლებიც შექმნილია ოროსანთათვის. თუ ეს სინამდვილეს შეესაბამება და გამოხატავს ახალგაზრდობის პრობლემებისადმი სახელმწიფო პოლიტიკას, მაშინ რაღად გვინდა ან საქართველო, ან ვინ ვართ და რას წარმოვადგენთ საერთოდ?** ვდგავართ და ვუყურებთ ზოგადსაკაცობრიო „აღმოჩენებით“ უზომოდ კმაყოფილ ხელისუფლებას და მასთან მიტმასნილ მედროვემლიქვნელებს. **ძნელი დასაჯერებელია (თუმცა ფაქტია) ისიც, რომ ქართველმა საზოგადოებამ ერის მომავლის შეურაცხმყოფელი სიტყვები ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშვა. „ოროსნები“ გამოასწორებენ ნიშნებს, მაგრამ არ დაავიწყდებათ ის წყენა, რომელიც სკოლაში სწავლის მეთორმეტე წელს მიაყენეს. ამ ქმედებით მათ პატრიოტულ გრძნობებს სერიოზულად შეუკვეცეს ფრთები და უბიძგეს, ბედი უცხო ქვეყანაში ეძებონ. მათი უმრავლესობა ალბათ დაადგება მშობლების გაკვალულ გზას (კარგად არის ცნობილი, რომ ქართველი ახალგაზრდები ოჯახის სარჩენად გაფანტულნი არიან მთელ მსოფლიოში. სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა იმათი შვილები არიან. ჩვენმა ხელისუფლებამ ესეც უნდა გაითვალისწინოს) და შეეცდება დაივიწყოს სამშობლო, როგორც ბოროტი დედინაცვალი.**

ბატონო რეფორმატორებო! ეს არის თქვენი ეროვნული პოლიტიკა? ქუჩაში გამოსულმა ბავშვებმა ხომ არ იციან რა ძალასთან აქვთ საქმე. ისინი ხომ ახლა ახელენ თვალებს და იმათ, ვისაც ევალებათ მათი გზაზე დაყენება, რკინისებური შეუვალობით (თანაც ტრაბახობენ, რომ გულჩვილები არა ვართო. არც ეს არის საამაყო ღირსებად უთითებენ ისეთ საგნებზე, რომლისთვისაც განათლება არ არის საჭირო. **საქართველს მომავალი ნიჩაბი და წერაქვია? ამ სიტყვებში გამოვლინდა ხელისუფლების ნამდვილი მიზანი. სრულდება უცხოელ ჭკუისდამრიგებელთა რჩევა, რომლის მიხედვითაც არასრულფასოვანი განათლების ადამიანი არის შესანიშნავი მონა. მათი აზრით, განათლებული მონა მსახურად არ გამოდგება. ამიტომაც ცდილობენ დამპყრობელთა ქართველი ემისრები განათლებისა და მეცნიერების არსებული დონის დაქვეითება-დამცირებას. ამავე მიზანს ემსახურება მანდატურთა ინსტიტუტის დაწესება, რომელმაც დაამცრო მასწავლებლის როლი და გახადა იგი მანდატურზე დამოკიდებული.**

რაც შეეხება ინგლისურენოვან პედაგოგთა პედაგოგიურ განათლებას, მსგავსი პრაქტიკა ალბათ აფრიკის ჯუნგლებში თუ გამოიყენება. ეს არის ეროვნულ განათლებაზე ზრუნვა? ამ გაუკუღმართებულ ექსპერიმენტებს საფუძველი ჩაუყარა ა. ლომაიას „ბრძნულმა“ რეფორმატორულმა მოღვაწეობამ. წლების განმავლობაში გვესმოდა მისი ქადაგებანი, როგორც ახალი ერის დასაწყისი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ეროვნული განათლებისა და მეცნიერების არაკონკურენტუნარიანობა, მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით. ამის მისაღწევად აუცილებელი იყო არსებულის უარყოფა, რაც ძალის გამოყენებით, მოკლე დროში მოიყვანა სისრულეში. დაპირებული გარდაქმნა, უკაცრავად, იგვიანებს. პირიქით, დონე იწევს დაბლა. **როდესაც უნივერსიტეტში სერიოზულად განაცხადეს, რომ ა. ლომაიას „რეფორმები“ იყო დამანგრეველი ქართული განათლება-მეცნიერებისთვის, სიახლის დიდმა მედროშემ ასპარეზზე პოლიცია გამოიყვანა და გამარჯვებულმა ცინიკურად განაცხადა: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“.**

ბატონებო! მივმართავ ა. ლომაიას და მის მომდევნო განათლებისა და მეცნიერების მინისტრებს, რომლებიც არანაკლები შეუდრეკელობით აგრძელებდნენ წინამორბედის დაწყებულ დიდ გარდაქმნებს. **სად არის ახლა ის ქარავანი? რატომ აებნა გზა და თავის ქარვასლას რატომ ვერ აგნებს? გვიპასუხებენ, რომ ქარავანი კურსის შეუცვლელად, სრული სვლით მიდის აღთქმული იდეის ხორცშესასხმელად. დავიჯეროთ, რომ ასეა? მაშინ სკოლის მოსწავლეთა პროტესტი რამ გამოიწვია? სინამდვილეში მოზარდების პროტესტი იმ ანტიეროვნული თესლის ნაყოფია, რომელსაც იმპერატიული შეუვალობით თესდა ქართული მეცნიერებისა და განათლების „ამყვავებელი“ მინისტრი (და იმავე მეთოდებით აგრძელებენ მომდევნონი).**

ჩვენი არეული დრო მრავალ უსიამოვნო ფიქრთა ამშლელია, მაგრამ განსაკუთრებით უიმედოა იმის განცდა, რომ **შინაურსა თუ გარეშე მტერს საქართველო ესახება არა როგორც საკუთარ ფესვებზე მდგომი ქვეყანა, არამედ როგორც გადასაადგილებელი ტერიტორია. ამიტომ შეუდგნენ თავისუფლებისა და ეროვნული სულის ჩანასახშივე ჩაკვლას, რადგან იციან, რომ დაშინებული და დამუნჯებული, უკვე დამორჩილებულია.** უფროსი თაობების „შედრეკილ-შეშინებულ“ ბედზე შეგუება გარანტირებულია. დარჩნენ სკოლის მოსწავლეები და იმედოვნებენ, რომ მათ სტიქიურ გამოსვლასაც ადვილად დაძლევენ. და ჩაქრება სისხლის წვიმებში გამოვლილი ეროვნული სულის კაშკაშა ნაპერწკალიც.

ქარავანი სვლას ანელებს, მიდის. ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან მიახლოების ფარისევლური სიტყვების რახარუხით, წაღმა-უკუღმა ნაცრის მფრქვეველმა ცრურეფორმატორებმა, სარკინოზული გახელებით და დაუნდობლობით, მიწასთან გაასწორეს ქართული სულიერების ყველა სიმაღლე და გალაღებულები ზეიმობენ გამარჯვებას. მათ შორის გამოვარჩიოთ ახლად დაბადებული „ოროსან“ რევოლუციონერებზე გამარჯვება.

**„შედრეკილ-შეშინებული“ თაობები აგრძელებენ „ნაზრახ“ სიცოცხლეს. საკუთარ ნიჟარებში საიმედოდ შეფარებულნი მედგრად ინარჩუნებენ ოლიმპიურ სიმშვიდეს. დადგა პატარა ქართველების რიგი. მათი პროტესტიც მალე ისტორიის საკუთრება გახდება. ძალა აღმართს ხნავს, ისინიც მამა-პაპათა მსგავსად შეეგუებიან თავიანთ ბედს, ბევრი მათგანი სამშობლოდ სხვა ქვეყანასაც აირჩევს. მშვიდობით საქართველო, მოკლე ხანში შენი დამცველი კი არა, სადღეგრძელოს დამლევიც აღარ დარჩება.**

გრანი ქავთარია

ფრთაშესხმული გამონათქვამები

# ვისთვის რეკავს, ვის უხმობს თუ ვისი სიკვდილის (ვისი დასაფლავების) გამო რეკავს ზარი?!.



***For whom the bell tolls***

***by John Donne***

*No man is an island,*
*Entire of itself.*
*Each is a piece of the continent,*
*A part of the main.*
*If a clod be washed away by the sea,*
*Europe is the less.*
*As well as if a promontory were.*
*As well as if a manor of thine own*
*Or of thine friend's were.*
*Each man's death diminishes me,*
*For I am involved in mankind.*
*Therefore, send not to know*
*For whom the bell tolls,*
*It tolls for thee.*

ასეა თუ ისე, ალბათ, ჰემინგუეიზე უფრო მეტად ყველასთვის გასაგებ და ყველასთვის ერთნაირად გულმართალ, გულთამხილავ მწერალს სხვას არცვის მეოცე საუკუნე არ იცნობს მთელ დედამიწის ზურგზე. „XX საუკუნის ბაირონი", ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე (დაიჭრა კიდეც), მერე კიდევ ოთხ ომში ხან რომელი და ხან რომელი გაზეთის თუ ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტია. რომანი, რომელსაც მავანმა კრიტიკოსმა „ესპანური ომის „ბიძია თომას ქოხი" უწოდა და რომლის სათაურის ქართული თარგმანის სისწორის გამო დაიწერა ეს პატარა შენიშვნა-წერილი, სათვალავით ერთ-ერთი პირველია მწერლის ოთხი რომანიდან. ამის შემდეგ მან კიდევ დაწერა სამი რომანი, რომელთაგან ორი („კუნძულები ოკეანეში" და „სამოთხის ბაღი") მწერლის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, მაგრამ 1940 წელს შექმნილი ეს „ზარი" აღიარებულია, რომ კვლავაც ადრინდელ მწვერვალად დარჩა, რომელშიც, როგორც „საკვანძო" ქმნილებაში, თვალში საცემად ჩანს ჰემინგუეის **„მთელი ლიტერატურული, საზოგადოებრივი და ესთეტიკური გამოცდილება"**. რომანის მთავარი თემა, კრიტიკოსთა აზრით, **სიკვდილი და ადამიანის ბედ-იღბლის ტრაგიზმია. პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ამ ზომით მწერლის სხვა არც ერთი ნაწარმოები არ არის განმსჭვალული, მაგრამ ეს რომანი უწინარესად მაინც სიყვარულის წიგნად რჩება.**

როგორც ახლა უკვე შესწავლილი და დადგენილია, მწერალს თურმე დიდხანს უძებნია ამ რომანის სათაური, რადგან საერთოდ სათაურს, წიგნის სახელწოდებას, ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის თვითონო, წერენ, იშვიათად იგონებდა თავისი ნაწარმოებების სათაურებსო. ძირითადად სხვაგან ეძებდა სხარტ გამონათქვამებს, სიტყვათშეერთებებსა და შესიტყვებებსო. ძირითადად თურმე ბიბლიას მიმართავდა, რომელსაც სათაურების უშრეტ ჭას უწოდებდა, მაგრამ წუხდა, იქ ხშირად სხვებიც იცქირებიან (განსაკუთრებით ამას კიპლინგზე ამბობდა) და სულ „ამოხვეტეს" ტექსტიდან, რაც რამ მარჯვე და მოსწრებული სასათაურო ფრაზები იყოო.

როგორც მწერლის შემოქმედების მცოდნენი წერენ, ჰემინგუეი სათაურების ძებნისას მუდამ დიდი ყურადღებით კითხულობდა თურმე ინგლისურ ლოცვანს, ასევე ინგლისური პოეტური კლასიკის ანთოლოგიებს. ასე, მაგალითად, თავდაპირველად ოცდაოთხი შესაძლო ვარიანტი ჰქონია „მშვიდობით, იარაღო"-ს სათაურისთვის. ერთხელაც, სრულიად შემთხვევით წასწყდომია აღორძინების ხანის ნაკლებად ცნობილი პოეტის ჯორჯ პილის ამ შესიტყვებას („მშვიდობით, იარაღო!") და თავისი რომანისთვის გაუსათაურებია კიდეც.

**თვითონ „ზარისთვის" თავიდან „უცნობი მხარე" დაურქმევია, შესიტყვება „ჰამლეტის" „ყოფნა-არყოფნის" დიალოგიდან აუღია. დანიის პრინცი აქ ბნელ რამ მხარეზე ლაპარაკობს, „საიდანაც არცვინ მგზავრი უკან აღარ დაბრუნებულა".**

მაგრამ, ბოლოს, მაინც კიპლინგს, უფრო სწორად, კიპლინგის რომანს („შუქი ჩაქრა") უპოვნინებია ჰემინგუეისთვის „ზარის" ამჟამინდელი სათაური. „შუქის" ერთი გმირი (დიკ ხელდერი) მეორეს (ტორპენჰოუს) ეკითხება: **„ვინ თქვა, თუ გახსოვს, რომ ჩვენ ყველანი ცოცხალი კუნძულები ვართ, რომლებიც ურთიერთგაგების ოკეანეში ერთმანეთს სიცრუეს გავძახითო?"** რის პასუხადაც კითხული მიუგებს: **„ეგ ვისაც არ უნდა ეთქვა, ის მართალიაო".**

და კიპლინგისგან გზაზე შეყენებულმა ჰემინგუეიმ ჯონ დონს (1572-1631) ჩახედა. დონი პოეტიც იყო, პუბლიცისტიც, ღვთის მსახურიც, ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი. დონის ქადაგება, საიდანაც აღებულია ჰემინგუეის ამ უბადლო ლიტერატურულ შედევრად აღიარებული რომანის ეპიგრაფი და სათაური, შექმნილია 1623 წელს, ხოლო ცნობილი რატომღაც მხოლოდ XX საუკუნეში გახდა. ძველი ინგლისელი ავტორი თავის ხსენებულ ქადაგებაში („ღვთიურნი ფიქრნი უჩვეულო მიზეზ-საბაბთა გამო"), სპეციალისტთა თანახმად, ადამიანსა და სამყაროს შორის ანალოგიას ახალ კონცეფციად ამუშავებს და სათავეს უდებს ახალ ინტიმურ-ფსიქოლოგიურ პროზას, რომელიც პიროვნების ასევე ახალი მხატვრული კონცეფციიდან აღმოცენდება.

ჯონ დონის ქადაგების ის ამონარიდი, რომელსაც ჰემინგუეი ეპიგრაფად და რომანის სათაურის წყაროდ იყენებს, ქართულად ასე გამოიყურება:

**„ადამიანი კუნძული ვერ იქნება, თავისთავად: სუყოველი ძეხორციელი მატერიკის ნაწილია, ხმელეთის ნაწილი; და უკეთუ ტალღამ კბოდე, კლდოვანფლატიანი წყლის ნაპირი ზღვაში ჩაიტანა, ევროპა შეპატარავდება, როგორც რომ მაშინ, უკეთუ კონცხის ნაპირი წალეკა ანდა შენი თუ მოყვასისა შენის სახლ-კარი დააქცია; სუყოველი ადამიანის სიკვდილი მეც მაცოტავებს, რამეთუ შერწყმული ვარ მთელ კაცობრიობას. ამად ნუ იკითხავ ნურცროდის: ვის გამო რეკავს ზარი, ის შენ გამო რეკავს".**

რომანის სათაურის პოვნით გახარებულ ჰემინგუეის უმალ უცნობებია თავისი გამომცემლისთვის (პერკინსი), რომელიც თურმე უზადო გემოვნებით გამოირჩეოდა, სათაური იქნებ ცოტა მოდიდოც მოგეჩვენოსო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თვითონ რომანი გასაგებს გახდისო. ოცდაათი შესაძლო ვარიანტიდან ბოლოს ეს შევარჩიე – ერთადერთი, რაც თვით ზარის რეკვად ჩამესმაო. სათაური მიზნისთვის ზუსტად მოგიხვედრებიაო, მიუწერია პერკინსს, რომელსაც რომანი უკვე წაკითხული ჰქონდა და მწერლის თხოვნით სათაურსღა ელოდებოდა...

ერთ-ერთ ძველ ქართულ ლექსიკონში **ზარის** თაობაზე პირდაპირ წერია: **ზარი, ანუ სარეკელი რვალისა, დაკიდებული სამრეკლოთა ზედა ეკლესიათასა საცნობელად ლოცვის ჟამისა... აგრეთვე ერის შეყრისა თუ ვისიმე დასაფლავების ჟამისაო და სხვ.**

ხოლო რაც შეეხება სიტყვას **გამო**, „სიტყვისკონაში" საბა ამ **გამო**-ს აგრე განმარტავს: ქმნილსა ვიკითხავთ: **ვის გამო იქმნა? თუნდაც ვის გამო დაირეკა ან ვის გამო რეკავს ზარი?**

თუ რამდენად „ხანდაზმული" და „ბებერი" სიტყვაა **„გამო"**, ჩვენი ძველი ძეგლებიდან ჩანს. მართალია, სხვადასხვა შინაარსობრივი გაგებით, მაგრამ გამო ნახმარია ჯერ კიდევ „შუშანიკში" **(„... მათ გამო, ვითარცა ერთგული, საფლავად შევიდეს")**, „ვეფხისტყაოსანში" **(„მიაჯე შეყრა პირისა შენ გამო შენებრ მშვენისა")**, „დავითიანში" **(„მზეს ღრუბლის გამო ვერ ვხედავ")**. ეჭვი სულაც არ მეპარება, რომ კარგი ქართველი მკითხველის ყურს მძიმე რამ ჟამს მუდამ ჩაესმის ილია ჭავჭავაძის: **მწუხარე არის ვით გლოვის ზარი** (ქართულად ზარი ისედაც ხომ გლოვის ნიშნად გოდება და მოთქმაა!).

აი სწორედ ამ გლოვის ზარს გულისხმობს ძველი ინგლისელი ავტორიც და მეოცესაუკუნელი ამერიკელი ნობელიანტიც **(ვისი სიკვდილის, ვისი გრძელ სოფელში გადასვლის, ანუ მიწისთვის მიბარების საცნობელად რეკავსო ზარი?).**

უთუოდ ათასჯერ სწორი აზრია, რომ ეს ერთგვარად თითქოს მაღალფარდოვანი, მაგრამ უაღრესად მრავალმნიშვნელოვანი სათაური ზუსტად ეხმიანება ნაწარმოების დროისეულ ზნეობრივ-ეთიკურ და ფილოსოფიურ პრობლემატიკას.

ამიტომ მხოლოდ სრულ გაუგებრობად უნდა მივიჩნიოთ ამ გლოვის ზარის ვისთვისმე რეკვა (ვისთვის რეკავს?) ანდა ვისიმე მიხმობა (ვის უხმობს?). მეოცე საუკუნის (და, ალბათ, ყველა დროის) ამ ერთ-ერთი უდიდესი რომანის სათაურია: **„ვის გამო რეკავს ზარი?"** რომლის წაკითხვისთანავე რობერტ ჯორდანივით ყველამ ჩვენ-ჩვენს გულში უნდა გავიმეოროთ: **ჩემ გამო...**

**გურამ გოგიაშვილი**

***P. S.*** *მე, დიდად სამწუხაროდ, ინგლისური არ ვიცი, სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც გერმანულს ვსწავლობდი (ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ჩემთვის ძალიან გვიან „დარეკა" ინგლისურენოვან მასწავლებელთა საქართველოში მოხმობის ზარი!), მაგრამ, საბედნიეროდ, საქართველოში ყოველთვის იყვნენ (შექსპირი ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში თარგმნეს!) და ახლა ხომ საკმარისზე მეტნიც არიან (1918 წლიდან მოკიდებული უცხო ენების რამდენიმე კერაა საქართველოში!). ერთ-ერთი გამორჩეული, მაგალითად, ქალბატონი ინესა მერაბიშვილია, ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თვითონ ინგლისელთა აღიარებით ინგლისური ენისა და ლიტერატურის საუკეთესო სპეციალისტი, რომელიც გალაკტიონ ტაბიძეს ინგლისურად თარგმნის, ხოლო ბაირონს – ქართულად და, ამასთანავე, თარგმნის თეორიის კუთხით, არაერთი სამეცნიერო მონოგრაფიის ავტორია. ეს პოსტკრიპტუმი ჯონ დონის ზემოხსენებული ქადაგების ინგლისური ტექსტის ჩემთვის გაცნობისა და, კერძოდ, ჰემინგუეის მიერ თავისი რომანისთვის ეპიგრაფად გამოყენებული ქადაგების ამონარიდის თავისეული ქართული თარგმანის მოწოდებისთვის ქალბატონ ინესა მერაბიშვილის მიმართ გულწრფელი მადლობის სათქმელად დავურთე ჩემს ამ ნამდვილად უპრეტენზიო წერილს.*

*თუ ვინმე სხვაგვარად ფიქრობს, კი, ბატონო, იმისი ხმალი და ჩემი კისერი, უფრო სწორად, იმისი კალამი და ჩვენი გაზეთის ფურცლები.*

*და კიდევ ერთი: მსოფლიოში არ არის ენა, რომელზედაც თარგმნილი არ იყოს ჰემინგუეის ეს რომანი (რუსებმა ყოვლად სრული თარგმანი, უკუპიურებო, მხოლოდ 2005 წელს გამოსცეს). ცხონებული ვახტანგ ჭელიძის თაოსნობითა და წყალობით ქართული ჰემინგუეი ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან „დაიწყო", „ზარი" კი სრულად დღემდე არა გვაქვს ქართულად. დარწმუნებული ვარ, მჯერა, რომ ფოლკნერის უდავოდ კალამდალოცვილ მთარგმნელს (თუნდაც მარტო „აგვისტოს ნათელი" ვთქვათ) ზაზა ჭილაძეს, ჩვენი დიდებული ოთარ ჭილაძის ჩინებულ ვაჟს, ხელი ნამდვილად არ გაუდგება, თუ ჰემინგუეის „ზარსაც" შებედავს და ქართულადაც „ჩამოჰკრავს", რაც ფრიად საშური, გადაუდებელი საქმეა... არ ვიცი, ან იქნებ სულაც სხვას ვისმე უკვე თარგმნილი აქვს კიდეც...*

**გ. გ.**

*19/XII.2010 წ.*

წერილი იტალიიდან

# დავბრუნდებით, აუცილებლად დავბრუნდებით!

**(მეექვსე გვერდიდან)**

პირადად მე პატივსა ვცემ იმ მრავალფეროვნებასა და მრავალეროვნულობას, რომელმაც უკუაგდო ძალადობა და იარაღი.

მსგავსი, მათ შორის ტერიტორიული წინაალმდეგობებით გამოწვეული პრობლემები წარსულში იტალიასაც ჰქონდა, მათ შორის კონფლიქტები ავსტრიასთან, საფრანგეთთან და ესპანეთთან, მაგრამ ამ უთანხმოებას დიდი ხნის წინათ დაესვა წერტილი და 1861 წელს იტალია გაერთიანდა.

ამჟამად ჩვენს ქვეყანას სხვა პრობლემები აქვს – დასაქმების, უსაფრთხოების, კანონიერების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების...

**ე. კოპალა:** ვფიქრობ, ეთნოკრიზისების მოგვარების ოპტიმალური გზა ურთიერთდაახლოება და დამეგობრება, ერთმანეთის კულტურისა და ხელოვნების უკეთ შეცნობა და დიალოგია.

* * *

მადლიერების გრძნობით დავემშვიდობე ჩემს რესპონდენტებს ელიზაბეტ კოპალას, კარლა ვალეჯს, ახალგაზრდა პედაგოგ ირენას და მათ მიერ საგანგებოდ ხაზგასმულმა სიტყვა „დიალოგმა“ ჩვენი ქვეყნის სულიერი მამის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლის ის სიტყვები გამახსენა, რომელსაც უწმიდესი და უნეტარესი სწორედ დიალოგთან დაკავშირებით ამბობს: **„საჭიროა პირდაპირი დიალოგის დაწყება აფხაზებთან და ოსებთან, რათა აღდგეს ჩვენს ხალხებს შორის ნდობა. მათ უნდა გაიცნობიერონ, რომ მიმდინარეობს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი და ერთად ცხოვრება ჩვენ მაინც აუცილებლად მოგვიწევს. არ ვიცი, ეს მათთვის რამდენად მისაღებია, მაგრამ მათი გადარჩენის გარანტია სწორედ ამაშია.**

**გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ აღნიშნული კონფლიქტი საერთაშორისო ძალთა დაპირისპირების შედეგია, ბუნებრივია, მათ გარეშე ამ პრობლემების მოგვარება გაჭირდება, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის საპირწონე სხვა ღირებულება არ არსებობს.**

**მე ყოველთვის იმედით ვარ აღვსილი და მჯერა, ადრე თუ გვიან საქართველო გაერთიანდება“.**


საშობაო დღეები სკოლაში

* * *

იტალიაში, კერძოდ აქ, პიზაში ოსები და ქართველები მეგობრულად ვცხოვრობთ.

**„გვაწუხებს, რაც ჩვენს შორის მოხდა.** – გვეუბნებიან ისინი, **– ჩვენ არა მარტო ვმეგობრობთ ერთმანეთთან, არამედ სისხლით ნათესავებიც ვართ. ბევრ ჩვენგანს ერთად გვაქვს შექმნილი ოჯახები და ჩვენი შვილების ძარღვებში ორივეს სისხლი ჩქეფს. ამიტომაც გვინდა ერთობა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა“.**

იქნებ ისევ და ისევ გვეცადა დიალოგი, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესმა ვერც ჩვენ ჩაგვყლაპოს, ვერც აფხაზი და ვერც ოსი?

შევძლებთ ამას?

შევძლებთ, ნამდვილად შევძლებთ, თუ საერთაშორისო ძალთა დაპირისპირება მოინდომებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად კომპრომისზე წავა.

* * *

ემიგრანტებს ძალზე გვეამაყება, რომ ჩვენი სამშობლოს სახელი სულ უფრო ხშირად გაისმის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ინტერნეტის საშუალებით „რუსთავი 2“-ის „კურიერში“ ვნახეთ საქართველოს პრეზიდენტის 25-წუთიანი გამოსვლა ევროკავშირის პარლამენტში, მისი შეხვედრა და საუბარი ამერიკის პრეზიდენტთან და საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციები, რამაც თვალებიდან ცრემლები გვადინა.

გვჯერა, რომ, დღეს იქნება თუ ხვალ, საქართველო აუცილებლად გაერთიანდება და ჩვენც, უცხოეთში სამუშაოდ წასულ ასიათასობით ემიგრანტს, გვეღირსება საქართველოში დაბრუნება და ღირსეული ცხოვრება.

რა მაძლევს ამ რწმენას?

რადა, ის, რომ ცისფერი ეკრანიდან ვიხილე მუხლმოდრეკილი პლასიდო დომინგო, რომელმაც ბათუმის ოპერის თეატრის მშენებლების წინ პირჯვარი გადაიწერა და აღთქმა დადო, მე დავბრუნდები, აუცილებლად დავბრუნდები საქართველოშიო.

საახალწლო დღეებში თურმე საქართველოში სტუმრობას აპირებენ უნიჭიერესი იტალიელი საოპერო მომღერალი ანდრია ბოტიჩელი, მონაკოს პრინცი და მრავალი სხვა ცნობილი პიროვნება.

ჰოდა, დადგება, აუცილებლად დადგება საქართველოში ჩვენი დაბრუნების დღეც.

**ლური მაღლაფერიძე,**
**იტალია. ქ. პიზა**
**ავტორის ფოტო.**

ჯანდაცვა

***გულის ქრონიკული უკმარისობა საკაცობრიო პრობლემაა და მთელი სიმწვავით დგას დღევანდელი მსოფლიოს წინაშე. ამას სტატისტიკაც ადასტურებს.***

***ამერიკის გულის ასოციაციის (AHA) 2004 წლის მონაცემებით, 61 მილიონი ამერიკელი დაავადებულია გულ-სისხლძარღვთა სხვადასხვა პათოლოგიით. მათ შორის გულის ქრონიკული უკმარისობით გამოვლენილია 5 მილიონი ავადმყოფი და ყოველწლიურად ვლინდება კიდევ 0,5 მილიონი. პირველსავე წელს იღუპება ავადმყოფთა 20 პროცენტი, ხოლო 5 წელიწადში – 50 პროცენტი. ამერიკის ჯანდაცვა ყოველწლიურად ხარჯავს ასობით მილიარდ დოლარს, მაგრამ პრობლემა ჯერ კიდევ შორს არის რეალური გადაწყვეტისგან და სტატისტიკაც სავალალოა.***

# გულის შემწე „კარდიოლა“

## ქართველი კარდიოლოგის მიერ შემუშავებული მკურნალობის მეთოდი მსოფლიოს წამყვან კლინიკებში ინერგება

ლოგიკურია, რომ ამ ფონზე ნებისმიერი ახალი, უსაფრთხო, ეფექტური და მარტივი მეთოდის აღმოჩენას საზოგადოება უნდა ხვდებოდეს სიხარულითა და ყოველმხრივი მხარდაჭერით. მით უმეტეს, თუ ეს ახალი მეთოდი, როგორც კუნთოვანი კონტრპულსაცია, წლების მანძილზე აპრობირებულია, დამტკიცებულია და სერტიფიცირებულია ევროპაში.

2002 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 4.615.000 მოქალაქე. თუ აშშ-ს სტატისტიკას შევუსაბამებთ, აქედან 910 ათასი არის დაავადებული გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიით, ხოლო გულის ქრონიკული უკმარისობით იტანჯება 70 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე.

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში უკვე დაინერგა კუნთოვანი კონტრპულსაცია – მკურნალობის უნიკალური მეთოდი აპარატით „კარდიოლა“.

როდესაც პაციენტთა ნაწილს მედიკამენტოზური მკურნალობა არ შველის, ქირურგიული ჩარევა კი შეუძლებელია, კუნთოვანი კონტრპულსაცია აპარატით „კარდიოლა“ ერთადერთი გამოსავალია.

ამ აპარატით მკურნალობა ევროპის არაერთი კლინიკის გარდა, თბილისში, ქართულ-შვეიცარიულ კლინიკა „კარდიო-სტილშიც“ (რ. თაბუკაშვილის 27ძ ხდება.

მკურნალობის ამ არაინოვაციურ მეთოდთან დაკავშირებით, საინფორმაციო სააგენტო **„მედიანიუსი“** მის ავტორს, იტალიის კარდიოქირურგთა ასოციაციის პრემიის ლაურეატს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს **ლერი ლაფანაშვილს** ესაუბრა.

**– კონკრეტულად რას გვეტყვით „კარდიოლაზე“?**

– საქმე გვაქვს კუნთების ელექტროსტიმულაციასთან. ეს მეთოდი იმით არის უნიკალური, რომ სხვა სტიმულატორებისგან განსხვავებით, აქ პაციენტის გული თვითონ მართავს აპარატს. „კარდიოლას“ გამოყენებით, კუნთი გულთან საწინააღმდეგო ფაზაში მუშაობს, ანუ კუნთი იკუმშება მაშინ, როცა გული თავისუფალია და პირიქით. კუნთი საკუთარ თავზე ნაწილობრივ გულის ფუნქციასაც კი იღებს და სისხლის მიმოქცევაში ეხმარება. ეს არის კონტრპულსაციის მეთოდი, რომელიც გამოყენებულია „კარდიოლაში“. სწორედ ამით არის შესაძლებელი, რომ სისხლის მიმოქცევა გავაუმჯობესოთ და გულს მუშაობა გავუადვილოთ.

სისხლის მიმოქცევის მხარდამჭერი აპარატი „კარდიოლა“ ავარჯიშებს თქვენს კუნთებს სახსრების დაუტვირთავად გულის განტვირთვის რეჟიმში. ამ აპარატით მკურნალობა რეკომენდებულია: ინვაზიური მეთოდების არაეფექტურობის ან მათი უკუჩვენებების შემთხვევაში; ინვაზიური მკურნალობის რისკის ასაცილებლად, განსაკუთრებით ხანდაზმულ ავადმყოფებში; ფარმაკოთერაპიასთან ერთად ურთიერთეფექტის გასაძლიერებლად.

**– ამ გამოგონებას ალბათ თავისი წინაისტორიაც აქვს...**

– საკითხზე 80-იანი წლებიდან ვმუშაობ. თავდაპირველად, საუბარი იყო ქირურგიულ მიდგომაზე, სისხლის მიმოქცევის დამხმარე აპარატის შექმნაზე, ანუ გულის გადანერგვის ალტერნატიულ ოპერაციაზე. პირველი ცდები მოსკოვში, ბაკულევის ინსტიტუტში ჩავატარე. მოგვიანებით, თემაზე დისერტაცია დავიცავი და იტალიაში საერთაშორისო პრემიაც მომანიჭეს კარდიოქირურგიაში საუკეთესო ნაშრომისთვის. ხოლო არაინვაზიურ მეთოდზე მუშაობა და კვლევა 1989 წლიდან დავიწყე.

მიღწეული შედეგებითა და



იდეით დაინტერესდნენ შვეიცარიელი ინვესტორები. 2000 წელს შვეიცარიის სამრეწველო ქალაქ ვინტერურში ჩამოყალიბდა კომპანია „კარდიოლა“. კომპანიამ დააპატენტა ეს აპარატი, რომლის გაუმჯობესება მუდმივად ხდება. კუნთოვანი კონტრპულსაციის მეთოდი დღეს უკვე გამოიყენება ევროპულ ბაზარზე.

**– არსებობდა თუ არა მანამდე „კარდიოლას“ ანალოგი?**

– ანალოგი ნამდვილად არ არსებობდა. თუმცა, ჩვენი წინამორბედის პნევმო-მექანიკურ პრინციპზე აგებული აპარატის ყველა უარყოფითი თვისება კარდიოლაში გათვალისწინებული და აღმოფხვრილია.

**– „კარდიოლათი“ მკურნალობისას მედიკამენტოზური მკურნალობაც არის საჭირო?**

– რა თქმა უნდა, საჭიროა. კომბინირებული მკურნალობა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე მონოთერაპია. მაგრამ „კარდიოლათი“ მკურნალობის შემდეგ, ცხადია, მედიკამენტების დოზირება კლებულობს, რადგანაც პაციენტების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ შედეგის მიღება მხოლოდ ამ აპარატის გამოყენებითაც არის შესაძლებელი. ჩატარებულია არაერთი კვლევა, რომლის შედეგები ნამდვილად ძალიან კარგი იყო. ავადმყოფის ჰემოდინამიკური, კლინიკური და ფიზიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. პირველი ცდები ცხოველებზე ჩავატარე, შემდეგ კი საკუთარ თავზე, ოჯახის წევრებსა და მოხალისეებზე. 2001 წლიდან ამ მეთოდის გამოყენებით პერიოდულად მკურნალობს მამაჩემი.

**– „კარდიოლათი“ მკურნალობის პროცესში საჭიროა თუ არა ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია?**

– არის შემთხვევები, როდესაც პაციენტი საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას. მაგრამ, სამწუხაროდ, „კარდიო-სტილში“ ამის შესაძლებლობა არ გვაქვს. ამიტომ, ჩვენთან მხოლოდ ამბულატორიული მიდგომით ვმკურნალობთ. ამასთან ერთად არ არის გამორიცხული ბინაზე პროცედურების ჩატარება.

**– გულის მძიმე პათოლოგიების მკურნალობა საკმაოდ ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია, როგორია დროის მაჩვენებელი „კარდიოლას“ გამოყენების შემთხვევაში?**

– ნამდვილად დაჩქარებულია, თუმცა ჩემს პაციენტებსაც უწევთ ხანგრძლივად მკურნალობა. სასწაულმოქმედი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ პაციენტების მდგომარეობა მალევე უმჯობესდება და მკურნალობის კურსის პერიოდულად გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლოა, არამარტო შეინარჩუნოს მდგომარეობა, არამედ პათოლოგიის უკუგანვითარებაც მოხდეს. საუბარია დეფორმირებულ გულზე, რომელიც გადანერგვას საჭიროებდა და, შესაძლოა, თანდათან აღდგეს.

**– ბატონო ლერი, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ კუნთოვანი კონტრ-პულსაცია და „კარდიოლა“ სასიკეთოდ შეცვლიან ავადობის სტატისტიკას?**

– დიახ, მე გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ! მჯერა, რომ სათანადო ყურადღებით საქართველოში გულის უკმარისობის საკითხი მოხსნილი იქნება. ამისათვის საჭიროა რეგიონებში თითო აპარატი და გამოცდილი სპეციალისტი.

**– რამდენად მიზანშეწონილია აპარატის გამოყენება პროფილაქტიკისთვის?**

– ძალიან კარგია მისი გამოყენება პროფილაქტიკისთვისაც. გულის მუშაობის შემსუბუქება და პერიოდული განტვირთვა დღეს საქართველოში არავის აწყენს.

კლინიკა, აგრეთვე, გაუწევს დახმარებას სპორტსმენებს ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციაში.

ესთეტიკური მედიცინის პროგრამა დაეხმარება ქალბატონებს სხეულის პრობლემური უბნების დახვეწაში.

**– კიდევ რა სიახლეს სთავაზობს დღეს კლინიკა „კარდიო-სტილი“?**

– სადიაგნოსტიკო სისტემა „კარდიოზორი“, ელექტროკარდიოგრამის კომპიუტერული დამუშავების მეშვეობით, გამოავლენს პათოლოგიის საწყის ფორმებსაც კი და შეგიდგენთ თქვენი „გულის პორტრეტს“; ჩვენი პარტნიორი კომპანია „svis doctor“-ის მეშვეობით პაციენტთა ანალიზები გადამოწმდება შვეიცარიაში.

**– როგორია თქვენი გეგმები?**

– გეგმები, ცხადია, გვაქვს. მათი განხორციელება უკვე დაწყებულია. ამ ეტაპზე ვმუშაობთ აპარატის გამარტივებაზე. უკვე შექმნილია მეოთხე და მეხუთე ტიპის აპარატები. მალე ბაზარზე გამოჩნდება მეოთხე A ტიპის აპარატი, რომელიც გამოსაყენებლად ძალიან მარტივი იქნება და მას პაციენტები სახლის პირობებშიც გამოიყენებენ. თუ დღევანდელ აპარატებს სჭირდებათ ექიმის მეთვალყურეობა, მეოთხე A ტიპის აპარატი სრულიად ავტომატიზებული იქნება.

**კვალი დროში**

# წიგნში გაგრძელებული სიცოცხლე

...რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ კარგად ვიცნობდი მეოცე საუკუნის ერთ ყველაზე კოლორიტულ „უმართავ ფუნქციონერს", საგარეჯოს, თელავის, მთელი კახეთის მართლაც ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ შვილს მედეა მეზვრიშვილს, მაგრამ... მედიკოს მეგობრების მიერ შედგენილი წიგნი, ამ დიდი ეროვნული მოღვაწის გარდაცვალების წლისთავზე რომ გამოვიდა, ისე სრულყოფილად წარმოგვიდგენს ერთი „პირქუში" ქალის სულის სიმაღლეს, — გაოცდები კაცი!

**„მედეა მეზვრიშვილი დიდი მოვლენაა. ეს ქალი — სიტყვაძუნწი, დინჯი, გარეგნულად აღუშფოთებელი, შინაგანად მშვილდივით მოზიდული, ხალხის საკეთილდღეო სიახლის მაძიებელი, ხვალინდელისკენ შეუკავებლად წინმსწრაფი — პირდაპირ ეროვნულ სასწაულებს ახდენს",** — წერდა ჩვენი გამოჩენილი მწერალი ქალი თინა დონჟაშვილი.

მაინც, რა იყო მედიკოს ხელდასხმული ეროვნული სასწაულები?

**— თელავში, სრულიად ახალგაზრდამ, თანაც კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა, მეფე ერეკლეს ციხე-გალავანში რუსების მიერ აშენებული მახინჯი სატუსაღო დაანგრია და... ულამაზესი ყვავილნარი გააშენა;**

**— თელავში ბოგდან ხმელნიცკის ძეგლის დადგმას დაჟინებით მოითხოვდა საკავშირო მთავრობა... მედიკო მეზვრიშვილმა თბილისში, ახალგაზრდობის ერთ-ერთ ყრილობაზე, რომელსაც რუსეთის მაშინდელი მსტოვრები ესწრებოდნენ, პრინციპულად თქვა: ყველამ თავისი მკვდარი იტიროს, ჩვენ თელავში ერეკლე მეფის ძეგლი უნდა დავდგათ"!.. რამდენიმე წლის შემდეგ, გოლგოთური შრომის ფასად, მედეამ სურვილი აისრულა და თელავი პატარა კახის მერაბ მერაბიშვილისეული შედევრით დამშვენდა.**

**— მედეამ დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსი აღადგინა, სოფელი უდაბნო გააცოცხლა და ააღორძინა, მთელ საქართველოს კი „გარეჯობის" ეროვნულ-საეკლესიო დღესასწაული უსახსოვრა.**

**— მრავალ უძველეს კახურ სოფელს ისტორიული სახელი დაუბრუნა და ამ კომუნისტური სახელების „მიმოფრქვევის" წინააღმდეგ უშიშრად გაილაშქრა;**

**— საგარეჯოში „მევენახის სახლი" ააგო; მრავალი ქვრივ-ობოლი დააპურა;**

**— ძველისძველი, სამარცხვინო სენის — ბავშვთა გატაცების ფაქტების ამოშანთვისთვის მედიკოს ძალისხმევით „კაკაბეთის ზარები" დარისხდა და საქართველოს ტელევიზიამ საეტაპო გადაცემათა ციკლი შექმნა;**

**1994 წლის 2 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ საგანგებო თათბირზე მედეა მეზვრიშვილმა ქალის ლეჩაქი „დაახურა" მთელ საქართველოს გადედლებულ მამაკაცებს და თქვა: მე შეიძლება შევეწირო ამ საქმეს, მაგრამ ძალიან მალე კახეთში მხედრიონის ბანდები ვერ იპარპაშებენ! მედიკომ სიტყვა შეასრულა და კახეთის მაგალითი, მერე და მერე, მთელ საქართველოს გადაედო!.**

**2002 წელს, კვლავ და კვლავ, მედეა მეზვრიშვილის თაოსნობით, თელავში, გიგოს გორაზე წმინდა ნინოს ულამაზესი ეკლესია აშენდა.**

**ამას დაუმატეთ „წვრილ-წვრილი" კეთილი საქმენი, რომელთა შესახებაც გამოწვლილვით არის მოთხრობილი მედეასადმი მიძღვნილ წიგნში და რომელ საქმეთა წყალობით, თითქმის 60 წლის განმავლობაში, „ქართვლის ცხოვრების" შუაგულში ტრიალებდა ეს ლიდერად, უღალატო მეგობრად და ნამდვილ ქართველად დაბადებული ქალი.**



## დედით – ლვინაშვილი, მამით – მეზვრიშვილი

## როდის ისწავლის ქართველი მეზვრიშვილობას?



„გარეჯობით" აღტაცებული ავლიპ ზურაბაშვილი

საოცარია მედეა მეზვრიშვილის პიროვნული ხიბლი, გნებავთ, ფენომენი: კახეთის სოფლებს, ხალხს, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ქართულ მწერლობას, თეატრს, კინოს, ზოგადად — ყოველივე ქართულს შეწირული ქალი უშვილძიროდ გადაეგო.

წიგნში „მედიკო" უბრალო, გულითადი თხოვნით მოგვმართავს დიდი ქართველი მწერლის რეზო ინანიშვილის მეუღლე როზა: **„გთხოვთ, დაიჯეროთ, რომ საკუთარი თავი თითქმის არ ახსოვდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელს საკუთარი სახლიც კი არ ჰქონდა. საავადმყოფოში მკურნალობის ფული მეგობარმა გადაუხადა. დაკრძალვის ხარჯებიც მეგობრებმა და ახლობლებმა გაიღეს"...**

ასე მხოლოდ დიდი მამულიშვილები კვდებიან, თუმცაღა რაც მეტი წელი გავა, მით უფრო გამართლდება ლადო მრელაშვილის სტრიქონები:

**„მთავრობისგან, მამაჩემის სულის**
**ცხონებამ,**
**კუდის ქიცინი, ხალხო,**
**ნაღდი ნუ გეგონება,**
**ვერც სახელმწიფოს შექმნი**
**და ვერც თავისუფლებას,**
**სანამ მთავრობა ეროვნული**
**არ გვეყოლება...**
**თქვენ რომ მეზვრიშვილს მიესიეთ —**
**ურქო რქოსანნი,**
**მის უკეთესი ვინ იპოვეთ,**
**ქრისტეს მმოსავი?**
**ან მთავრობას და პარლამენტში**
**რომელი გიზით**
**საქართველოსთვის გულდამწვარი**
**მედიკოსავით?!**
**(2006 წ.).**

უნიჭიერესი მწერლის ამ სიტყვებს „ძველი", მედიკოსდროინდელი ლეგენდარული თაობის წარმომადგენლები კი არა, ქარიყლაპია მიშისტი-ნაციონალებიც „სიამოვნებით" წაიკითხავენ, მაგრამ... ჩვენდა სამარცხვინოდ, ერთ ყურში შეუშვებენ და მეორიდან გაუშვებენ... აი, ფერეიდნელი ქართველის რეზო მიქელაძის შეგონება კი არა მგონია გულზე არ მოხვდეთ ჩვენ ძვირფას ვარდოსნებს: **„მე ვნატრობ, მეზვრიშვილობა ისწავლოს მთელმა საქართველომ. ვერც კი ვბედავ მედეას შექებას, მეშინია, მტერმა არ შეიტყოს, რომ სალოცავ საქართველოს ასეთი შვილი ჰყავს!"**

რამდენი მედიკოსნაირი უნდა ჰყავდეს საქართველოს, რომ გადარჩეს და აღორძინდეს?

თუნდაც — ერთი, ყოველ თაობაში — ერთი! ეს ერთიც ცოტას არ ნიშნავს!

სამების საკათედრო ტაძარში ამ რამდენიმე დღის წინათ გამართულ „მედიკოს" წიგნის კურთხევაზე მღეროდა ფოლკლორული ანსამბლი „ლაზარე". სხვა სიმღერებთან ერთად ანსამბლმა წუთისოფლის ჰიმნიც შეასრულა... „ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად, სხვას არა წაუღია რა"... რაღაც სხვა, მიწიერი შინაარსი შეიძინა ამ სიტყვებმა იმ საღამოს. მედიკოს იმ ქვეყნად წასაღები მართლაც არაფერი ჰქონდა, რადგანაც ღვთითბოძებული — სიკეთე, სიყვარული, კონკრეტული საქმე და ქართველი ქალის უტეხი სული ჩვენ, წუთისოფლის შვილებს დაგვიტოვა.

წიგნის კურთხევისას სიტყვები წარმოთქვეს **ნოდარ ჭითანავამ, ნათელა ვასაძემ, ფიქრია ყუშიტაშვილმა, ნუგზარ ნადარაიამ, კიაზო ფიცხელაურმა, ბიძინა სონღულაშვილმა, კობა იმედაშვილმა, შალვა დავითაშვილმა, ვალიკო მამუკელაშვილმა, ზაირა არსენიშვილმა, ნელი გურგენიძემ. ქალბატონი ნელი ამ შთამბეჭდავი წიგნის შემდგენელ-რედაქტორიც გახლავთ. სარედაქციო საბჭოში უშურველად იმუშავეს ნოდარ ჭითანავამ, ოთარ ხუციშვილმა, ლია ლომიძემ, ნანა სოზაშვილმა.**

წიგნში შესულია ასობით მეოცესაუკუნელი მოღვაწის მოგონება, ნარკვევი, ჩანახატი, ფოტომატიანე მედეას შესახებ. აქვეა თვით მედეას ჩანაწერები...

წიგნი დაიბეჭდა საგამომცემლო სახლ „ინოვაციაში". დირექტორი — ზაურ ნაჭყებია. გულითადი მადლობა მათ.

ეს წიგნი თითოეული კახელის (და არა მარტო კახელისძ ოჯახში უნდა იდოს!

**სპარტაკ ქობულია**

## განცხადება აუქციონის შესახებ

2010 წლის 30 დეკემბერს, 10.00 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, ბიბლიოთეკის დარბაზი, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შალვა ელიზბარაშვილისა (პ/601024023505ძ და ნოდარ ლიპარტელიანის (პ/ნ 010030-00428ძ კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია;

გასაყიდად
გამოტანილი იქნება:

შალვა ელიზბარაშვილის კუთვნილი უძრავი ქონება (საოფისე ფართიძ, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ხოშტარია-ბარნოვის ქ. №27/42ა, ფართი: 650.00 კვ.მ. მიწის-(უძრავი ქონებისძ საკადასტრო კოდი: 01.15.02.034.-012.01.522.

უძრავი ქონების საწყისი ფასი: 232,554 (ორას ოცდათორმეტი ათას ხუთას ორმოცდათოთხმეტიძ აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ნოდარ ლიპარტელიანის კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ხოშტარია-ბარნოვის ქ. №27/42ა, სადარბაზო 2, სართული 1, ბინა №17, ფართი: 73.29 კვ.მ. მიწის (უძრავი ქონებისძ საკადასტრო კოდი: 01.15.02.034.012.01.017.

უძრავი ქონების საწყისი ფასი: 42,596 (ორმოცდაორი ათას ხუთას ოთხმოცდათექვსმეტიძ აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებძზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი — სს „თიბისი ბანკი". აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალიძ, რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ შპს „ჰორიზონტს", შალვა ელიზბარაშვილსა და ნოდარ ლიპარტელიანს

ეცნობოს შპს „ჰორიზონტსა" და შალვა ელიზბარაშვილს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია აუქციონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უწყება(შეტყობინებაძ მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

### მძლეოსნობა

# გოგონებმა გვასახელეს



**ბაქოში დამთავრდა ტოფიკ კარაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ახალგაზრდა მძლეოსნები მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ქუთაისელმა სალომე სირაძემ და თბილისელებმა — სოფი ჩალაშვილმა, გიორგი აზარაშვილმა და იოსებ ჭიკაიძემ იასპარეზეს.** შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა მძლეოსნური სამჭიდი (60 და 200 მ. რბენა, სიგრძეზე ხტომა). სირაძემ, რომელიც ყოფილი სპრინტერის მაკა იანტბელიძის შვილია, 60 და 200 მეტრზე რბენა მოიგო, სიგრძეზე ხტომაში მეხუთე იყო და საბოლოოდ სამჭიდში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე ადგილი ჩალაშვილმა დაიკავა. ბიჭებმა მეშვიდე-მერვე ადგილები გაიყვეს. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებს მეორე ადგილი ხვდა.

**გივი გაგუა**

**სურათზე: სალომე სირაძე.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

### ტყვიის სროლა

# კვარცხლბეკზე – ნაცნობი სახე(ლ)ები

**ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დამთავრდა თბილისის ღია პირველობა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. ქალებში ოქროს მედალი არავის დაუთმო სახელოვანმა ჩუბინმა, ასპარეზობის მასპინძელმა ნინო სალუქვაძემ, რომელმაც 381 ქულა მოაგროვა. 367 ქულით მეორე ადგილზე ქუთაისელი ნინო უჩაძე გავიდა, 363 ქულით მესამე ადგილი მეგი ძადაგიძეს ხვდა.**

ვაჟებში 565 ქულით უძლიერესი იყო ლევან ქადაგიძე. მას შვიდი ქულით ჩამორჩა და ვერცხლის მედალს დასჯერდა თემურ კვანტალიანი, მესამე ადგილი ბესიკ სირაძემ დაიკავა.



ქართველი მსროლელები ახლა მიუნხენის საერთაშორისო ტურნირისთვის მოემზადებიან. ეს შეჯიბრება 29-30 იანვარს გაიმართება.

**ლაშა დიდია**

### რაგბი

# თებერვლიდან დაიწყება



**ევროპის ერთა თასის გათამაშება რაგბიში გაისად 5 თებერვალს დაიწყება.** „ბორჯღალოსნებს" ამ დღეს ოდესაში უნდა ეთამაშათ უკრაინელთა წინააღმდეგ, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელის რიჩი დიქსონის თხოვნით ეს პაექრობა თბილისში გაიმართება. ჩვენებურთა მომდევნო შეხვედრების განრიგი ასეთია: **12 თებერვალი.** საქართველო-ესპანეთი, **26 თებერვალი.** პორტუგალია-საქართველო, **12 მარტი.** საქართველო-რუმინეთი, **19 მარტი.** რუსეთი-საქართველო.

**ლექსო ცინცაძე**

### ფეხბურთი

# „ინტერს" მწვრთნელს უცვლიან?



**მილანის „ინტერმა" ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე — მთავარი მწვრთნელის რაფაელ ბენიტესის ხელმძღვანელობით ფინალში დაამარცხა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი „მაზემბე" — 3:0, მაგრამ, როგორც პრესა იტყობინება, კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ გადაწყვიტა, გაათავისუფლოს მთავარი მწვრთნელი თანამდებობიდან.** ამის მიზეზად კი მოაქვთ ბენიტესის განცხადება ფინალში გამარჯვების შემდეგ — კლუბი იანვრის დასაწყისშივე სამ ფეხბურთელს თუ არ შეიძენს, ის „ინტერს" დატოვებს. ამას გარდა, ჭორაობენ იმაზეც, რომ ბენიტესმა ურთიერთობა ვერააწყო მარკო მატერაცსა და დეიან სტანკოვიჩთან, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ გასახდელში.

მართალია, მორატიმ უარი თქვა კომენტარზე მთავარი მწვრთნელის განთავისუფლების შესახებ ცნობის გამო, მაგრამ უკვე ასახელებენ ბენიტესის შემცვლელ კანდიდატებს, ერთი მათგანია სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" მთავარი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი, აგრეთვე, „მილანის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ბრაზილიელი ლეონარდო. იმასაც ამბობენ, რომ „ზენიტის" ხელმძღვანელობა თანახმაა იტალიელი სპეციალისტის გაშვებაზე, თუკი „ინტერიდან" მომხიბვლელ შეთავაზებას მიიღებენ.

სპალეტისა და ლეონარდოს გარდა, ასახელებენ იმათაც, ვისაც თეორიულად მაინც შეუძლიათ „ინტერის" სათავეში ჩადგომა — ესენი არიან ვალტერ ძენგა, ფრანკ რაიკარდი, დიეგო სიმონე, ფაბიო კაპელო, ჯოვანი ტრაპატონი, ლუიშ ფიგუ, ჯუზეპე, ბარეზი და ხოსეპ გვარდიოლა.

**კახი გურული**

### ადამიანი დროში

**იმ დღეს გულით გაიხარეს მარტვილელმა ქომაგებმა: მოედანზე ორი უსაყვარლესი ფეხბურთელი იხრილეს — დავით ყიფიანი და დევიზ დარჯანია. მარტვილის სტადიონზე ადგილობრივი „სალხინო" ამხანაგურ მატჩში თბილისის „დინამოს" მასპინძლობდა. ეს იყო დიდი ხნის წინათ, თუმცა მაშინ დევიზ დარჯანიას ქართულ ფეხბურთში თავისი ნიშა ჰქონდა.**

# გახსოვთ დევიზ დარჯანია?



მარტვილის რაიონის სოფელ ონოღიაში დაიბადა და გაიზარდა. მე-10 კლასში იყო, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოთამაშე „სალხინოში" რომ მიიწვიეს. მერე არმიის სასპორტო კლუბში ჩაირიცხა. 1974 წელს კვლავ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და თანაგუნდელებთან ერთად ქვეყნის პირველობის პრიზიორი გახდა. 1976 წელს მარტვილელებმა კიშინიოვში „ოქროს თავთავის" თასი მოიპოვეს. ამ წარმატებაში დევიზ დარჯანიამ ლომის წილი დადო. იმავე წელს თბილისის „დინამოში" აღმოჩნდა, რომელსაც მიხეილ იაკუშინი თავკაცობდა. უფრო სათადარიგოში გამოდიოდა, იშვიათად გამოჩნდებოდა ძირითად შემადგენლობაში. ქვეყნის უპირველეს გუნდში ვერ აეწყო მისი საქმე და წავიდა. ხან სად ითამაშა, ხან — სად, ბოლოს ქუთაისის „ტორპედოში" ამოყო თავი. სწორედ აქ გაიფურჩქნა მისი ნიჭი და გულშემატკივართა სიყვარული და ალიარებაც მოიპოვა. საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის 38 მატჩში 18 გოლი გაიტანა. 1982 წელს რიონისპირელები მისი კაპიტნობით უმაღლეს ლიგას დაუბრუნდნენ. მაშინ „ტორპედოს" ღირსებას დარჯანიასთან ერთად გოჩა მაჩაიძე, გიორგი ჭილაია, მერაბ ჟორდანია, მანუჩარ მაჩაიძე, მერაბ მეგრელაძე და ოთარ კორღალიძეც იცავდნენ. გუნდის თავი შეუპოვრობითა და შედეგიანობით გამოირჩეოდა. მეტოქის კარის აღების იშვიათი ალღო ჰქონდა. სტაჟიან გულშემატკივრებს ახლაც ახსოვთ მისი დაუვიწყარი მატჩები, რომლებშიც ლამაზი გოლებით გამოუჩენია თავი. ერთხელ მურთაზ ხურცილავას ინიციატივითა და ხელშეწყობით სამტრედიას მოსკოვის „დინამო" ეწვია. ვალერი გაზაევმა და მისმა თანაგუნდელებმა მასპინძლებთან ვერაფერი გააწყვეს. ამხანაგური მატჩის ბედი ზუსტი საჯარიმო დარტყმით პილგუის კარში დარჯანიას მიერ გატანილმა გოლმა გადაწყვიტა.

იყო ასეთი ეპიზოდიც: ქუთაისის „ტორპედოს" უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად ერთ-ერთ ორთაბრძოლას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. რიონისპირელებს კი, როგორც იტყვიან, თამაში არ წაუვიდათ. ერთ-ერთ მომენტში დევიზ დარჯანიას ხელსაყრელი პოზიციიდან იმდენად არაზუსტად და ძლიერად დაურტყამს ბურთი, რომ ლამის ტრიბუნებისთვის გადაუცილებია, რის გამოც აღშფოთებულ ქომაგებს „ლამაზი" სიტყვებით შეუმკიათ კაპიტანი. და მაინც, ბოლო წამებზე გუნდის თავს უყოჩაღია — გადამწყვეტი გოლი გაუტანია მეტოქის კარში. უამრავი ქომაგის თვალწინ ანტიგმირი გმირად ქცეულა.

ცხოვრებაში დევიზის დევიზი ადამიანებთან თბილი ურთიერთობა იყო. ბევრ ცნობილ ფეხბურთელთან მეგობრობდა. მათ შორის — საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მეგოლე მერაბ მეგრელაძესთან, ფირუზ კანთელაძესთან, სხვებთანაც, რომლებთანაც თბილი დამოკიდებულება აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგაც არ შეუწყვეტია.

ფეხბურთს თავი რომ დაანება, ჯერ წყალტუბოს „შადრევან-83"-ს, შემდეგ მარტვილის „სალხინოს" ავარჯიშებდა, ახლა კი საკუთარ კარ-მიდამოს უვლის.

საყოველთაო აღიარების მოპოვება იოლი როდია. შეიძლება ითქვას, ეს რჩეულთა ხვედრია. მაყურებელმა დევიზ დარჯანია არა მხოლოდ კარგი თამაშისა და ლამაზი გოლების, არამედ რაინდული, პიროვნული თვისებების გამოც შეიყვარა და იგი დღემდე ასეთად რჩება.

**ბესიკ გვაზავა,**
**მარტვილი**

### ინტერნეტიდან

# ივანოვიჩი ემზადება



**ახალი სეზონისთვის ემზადება მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგბურთელი, სერბი ანა ივანიჩი, რაზეც ის თავის ოფიციალურ საიტში საუბრობს. 23 წლის ანა ამ სამზადისში იყენებს მრავალფეროვან ვარჯიშებს, თამაშობს პლაჟის ფრენბურთსა და კალათბურთს. სპორტდარბაზში იოგას მუსიკის თანხლებით ეუფლება, ბოლო დროს კი, თავის პროგრამაში კრივის ილეთებიც ჩართო.**

„რასაკვირველია, მე გატაცებით ვვარჯიშობ ტრადიციული საშუალებებით, დიდ დროს ვუთმობ ტრენაჟორებს, სარბენ ბილიკს, ასე რომ, ყველაფერი ძალზე საინტერესოა", — განაცხადა ჩოგბურთელმა.

# მწვანე ფერი მოიშორა

**ამერიკელმა ტელესასწაულმა, თანაც ახალგაზრდა დედამ კონდრა უილკინსონმა სახლში გენერალური დასუფთავება მოაწყო — ბინა გაათავისუფლა ძველი ნივთებისგან, დაუჯერა რა თავისი ქმრის ჰენკ ბასკეტის რჩევას — თავიდან მოიშორა ყველაფერი, რასაც მწვანე შეფერილობა, ანდა ფეხბურთის გუნდ „ფილადელფია იგლის" ლოგოტიპი ჰქონდა. იქ ხომ უწინ მისი ქმარი თამაშობდა, ოქტომბერში კი სხვა გუნდში გადავიდა.**



ცოლ-ქმარს ადრე უთანხმოებაც ჰქონდათ, მაგრამ ისინი მორიგდნენ, თუმცა ჰენკი სულ სიმპათიური ქალების გარემოცვაშია. კონდრა მაინც ბედნიერია და ქმარს ბიჭუნაც კი აჩუქა. ის აცხადებს, რომ ქმარი ძალიან უყვარს.

◉ სხვა გაზეთიდან

# შორიდან მოსულის ქორწილი მაიმუნთან

## ამის შედეგად გაჩნდნენ დედამიწელები



2012 წელს დედამიწას მიუახლოვდება პლანეტა ნიბირუ, რაც ჩვენი პლანეტისთვის შეიძლება კატასტროფა აღმოჩნდეს. ოდესღაც კი თავად დედამიწა იყო ამ პლანეტის ნაწილი.

ამ ფაქტის დადასტურებას მიუძღვნა მთელი თავისი სიცოცხლე აღმოსავლეთმცოდნემ და ლინგვისტმა, ანალიტიკოსმა და მეოცნებე ზაქარია სიტჩინმა, რომელმაც შექმნა პლანეტისა და კაცობრიობის შორეული წარსულის ნათელი და რაღაცით სკანდალური სურათი.

### დარვინი თუ შემოქმედი?

ყველასთვის არის ცნობილი ორი შეურიგებელი მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა ადამიანი – გონიერი. ღვთიური კონცეფციის მომხრეები დარწმუნებული არიან: ადამი და ევა, ვისგანაც წარმოვიქმენით ჩვენ ყველა, შემოქმედმა შექმნა მიწის მტვერისგან. დარვინის თეორიის მიმდევრები გვარწმუნებენ, რომ ხალხის პირველი მშობლები იყვნენ მაიმუნები, რომელთა ინტელექტიც ვითარდებოდა შრომის პროცესსა და არსებობისთვის ბრძოლაში.

დიდი ხნის წინათ წარსული ხალხების ინფორმაციული მემკვიდრეობის მრავალწლიანი გაშიფვრების გააზრების შედეგად ზაქარია სიტჩინმა მაინც მიაგნო ოქროს შუალედს.

დიახ, ადამიანები მაიმუნებისგან წარმოიშვნენ, გვეთანხმება ის. მაგრამ არა ერთბაშად და არა იმის შედეგად, რომ მაიმუნმა რაღაც წარმოუდგენლად მოიფიქრა აეღო ხელში ჯოხი. დიახ, ღმერთმა შექმნა ადამიანი. მაგრამ დედამიწაზე კი არა, არამედ კოსმოსის შორეულ სიღრმეში, პლანეტა ნიბირუზე, რომელიც ბრუნავს მზის გარშემო და უახლოვდება ხოლმე მას 3600 წელიწადში ერთხელ.

სიტჩინის თეორიის თანახმად, მნათობთან ერთ-ერთი მიახლოების დროს თანამგზავრი შეიჭრა მზის სისტემის უდიდეს პლანეტა ტიამატში, რომლის ორბიტაც მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის იყო. ამ შეჯახების ერთ-ერთი ნამსხვრევი აღმოჩნდა მზესთან ახლოს და იგი აღმოჩნდა მომავალი დედამიწა. გონივრულმა არსებებმა, რომლებიც ნიბირუზე ცხოვრობდნენ, როდესაც განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს, შეძლეს განეჭვრიტათ მათი მომლოდინე კატასტროფა და გადასახლდნენ დედამიწაზე. აქ გადაშენების შიშით მათ დაიწყეს შეჯვარება არსებებთან, რომლებსაც ანთროპოლოგები ჰომო ერექტუსს უწოდებენ. ასეთი შეჯვარების შედეგად წარმოქმნილი ადამიანები აღიქვამდნენ მოსულებს, რომლებსაც შუმერულ ტექსტებში ანუნაკებს (ციდან დედამიწაზე მოსულებს) უწოდებდნენ, როგორც ღმერთებს. ჩვენი ცივილიზაციის ბევრი მიღწევა – მათი საჩუქარია. თუ ურანი, ნეპტუნი და პლუტონი XIX და XX საუკუნეების ასტრონომებმა აღმოაჩინეს, შუმერებმა, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ შორიდან მოსულებთან, დატოვეს ჩანაწერები ამ პლანეტებზე ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ.

ნიბირუს მცხოვრებლებმა გადაიტანეს კლიმატური კატასტროფა – მათი პლანეტების ატმოსფეროში ოზონის ხვრელებმა გამოიწვიეს მათი ზედაპირის ძლიერი გაცივება. გაცივებისგან ხელოვნური ფარის შესაქმნელად საჭირო იყო ატმოსფეროში ოქროს წვრილი ნაწილაკების გაფანტვა. ძვირფასი ლითონის მოპოვება გახდა კიდეც დედამიწის კოლონიზაციის მიზეზი. სამხრეთ აფრიკის ქვეყანა სვაზილენდში 1972 წელს აღმოაჩინეს ოქროს მოპოვების მაღაროები, რომელთა ასაკიც დაახლოებით 100 ათასი წელია. მაგრამ ოქროსთვის ბრძოლამ მოსულები მიიყვანა გამანადგურებელ შეტაკებამდე ერთმანეთს შორის. „ღმერთების" ომებმა (სხვათა შორის, ბირთვული იარაღის გამოყენებითაც) გამოიწვიეს ომები ადამიანებს შორის.

### საიდან მოდიან ჩვენი გენები?

ჰიპოთეზების ამ ჯაჭვს შეიძლება ვუწოდოთ ზღაპრები ან ახალი მითოლოგია. მაგრამ არსებობს დედამიწაზე ანუნაკების ჩამოსვლის სარწმუნო დადასტურებანი: ბერლინის მუზეუმში წარმოდგენილია ბაბილონიდან ჩვენს ერამდე III ათასწლეულის ცილინდრული ბეჭედი, ბრიტანეთის მუზეუმის სათადარიგო სანახებში ინახება შუმერული ფირფიტის ასირიული ასლი – ორივე შეიცავს ნიბირუს მცხოვრებთა დედამიწაზე მოგზაურობის სანავიგაციო სქემას. მასზე გამოსახულია მზის სისტემა, რომელიც პლანეტა ნიბირუსაც შეიცავს (მარსსა და იუპიტერს შორის).



ბაბილონში იცოდნენ, თუ საიდან მოფრინდნენ ანუნაკები

როდესაც დაამუშავა 1982 წელს კოსმოსური ხომალდებისგან „ვოიაჯერიდან", „პიონერ-10"-დან და „პიონერ-11"-დან მიღებული მონაცემები, მეცნიერთა ჯგუფმა თომას ვან ფლანდერის მეთაურობით განსაზღვრა, რომ პლუტონს იქით არის პლანეტა სულ ცოტა ათასი წლის ორბიტალური პერიოდით.

ბერკლიში მეცნიერებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან გამოიკვლიეს ფლორისა და ფაუნის განვითარება უკანასკნელი 500 მილიონი წლის განმავლობაში და მივიდნენ დასკვნამდე: დედამიწაზე ყოველ 62 მილიონ წელიწადში (პლუს-მინუს 3 მილიონი წელიწადი) ხდება კატასტროფები, რომლებიც იწვევენ ცხოველთა და მცენარეთა ათასობით სახეობის გაქრობას (შეგახსენებთ, დინოზავრები გადაშენდნენ ზუსტად 62 მილიონი წლის წინათ). ამ ციკლურობის განმარტებისთვის აყენებენ სხვადასხვა ჰიპოთეზს, ერთ-ერთი მათგანია – დედამიწასთან უზარმაზარი მითოლოგიური პლანეტის მიახლოება.

ჩვენი პლანეტის ისტორია, აგებული სიტჩინის მიერ, იძლევა პასუხს შეკითხვებზე, რომლებზეც მეცნიერებას პასუხები არ გააჩნია. მაგალითად, რატომ არის, რომ ადამიანის გენომი შეიცავს 223 გენს, რომლებიც არ გვხვდება სხვა ცოცხალ არსებებში, მაშასადამე, არ გააჩნიათ წინამორბედები ევოლუციის ქვედა საფეხურებზე?

სიტჩინს აკრიტიკებენ, ზოგჯერ ცრუმეცნიერსაც უწოდებენ. ის იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანთა შორის, ვინც ინტერესით ადევნებდა თვალყურს ნიბირუს გადაადგილებას. მიმდინარე წლის ოქტომბერში იგი გარდაიცვალა. ზაქარია სიტჩინი ვერ მოესწრო იმ პლანეტას, რომელიც, შეიძლება, დედამიწის დიდი დედა იყო.

◉ ჩვენი კარაბადინი

# კიბოსგან განკურნების სასწაული

## სიმსივნის შემცირება – ამოუცნობი საიდუმლო

**ცნობები იმის შესახებ, თუ ზოგიერთი ადამიანი მოულოდნელად თავად როგორ ირჩენს თავს კიბოსგან, ქვეყნდება რეგულარულად. უნდა დავუჯეროთ სასწაულს?**

### სიმსივნეები ვირთხებია

**ფარმაცევტული ფირმის თანამშრომელ ივანს ექიმებმა უკვე გამოუტანეს განაჩენი, როდესაც აღმოუჩინეს, რომ მელანომა გავრცელდა ღვიძლზე, კუჭზე, ფილტვებზე, ძვლებზე და ტვინზეც 10 მეტასტაზა მისცა. მაგრამ კაცი არ დანებდა.** დაიწყო 17 ვიტამინისა და კვების დანამატების უცნაური ნარევის მიღება, წარმოიდგინა, რომ მეტასტაზები – ესენი ვირთხები არიან და ის ნადირობს მათზე ბეისბოლის ტაფელათი. რამდენიმე თვის შემდეგ კი გამოკვლევამ აჩვენა, რომ თითქმის ყველა მეტასტაზი გაქრა. ექიმებს არ სჯეროდათ, რომ საქმე ვიტამინებს შეეხებოდა, მაგრამ გამოჯანმრთელების საიდუმლოს ამოცნობა ვერ შეძლეს.

„მელანომებთან დაკავშირებით მართლაც წარმოიქმნება ხოლმე შეუცნობელი სიტუაციები, – ამბობს ონკოლოგი ქირურგი, პროფესორი ალექსეი სევერცევი. – ეს ყველაზე შეუცნობადი სიმსივნებია. მაგალითად, გულის კუნთზე მეტასტაზს არ იძლევა არც ერთი ავთვისებიანი სიმსივნე, მელანომის გარდა. უწყინარი, ერთი შეხედვით, ხალი მოულოდნელად კიბოს სიმსივნედ გადაიქცევა. ავადმყოფობის შემდგომი განვითარების ამოცნობაც შეუძლებელია. ზოგიერთი პაციენტი ძლიერი კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებით იწვება. სხვები ცოცხლობენ ყოველგვარი მკურნალობის გარეშე. მესამეებს შეუძლიათ თავად გამოვიდნენ მოულოდნელად რეციდივის მდგომარეობიდან, ესე იგი დაავადების გამწვავების გარეშე და კვლავ გაურკვეველია – რატომ. გამოცანის ამოხსნა, შეიძლება, სხვადასხვა ხალხის იმუნური სისტემის გენეტიკურ სხვაობაში მის სპეციფიკურ მოლეკულურ კომპონენტებში იმალებოდეს. იგი ყველას არ შველის, სამაგიეროდ წარმატების იშვიათ შემთხვევებში ხალხი წლობით ცოცხლობს".



### გამოცნობა ახლოსაა

**ავადმყოფობასა და მის მკურნალობაზე ასეთი სხვადასხვაგვარი რეაქციების მიზეზები – გულდასმითი კვლევის საგანია. რატომ უმართლებს ზოგს სხვებზე მეტად?**

იმუნური სისტემის არაჩვეულებრივი გაძლიერების შესახებ ვერსია სპეციალისტებში სულ უფრო მეტ დადასტურებას პოულობს. მიაჩნიათ, რომ კიბოს გენი აქვს ყველა ადამიანს. გარკვეულ ასაკამდე და პირობებამდე ის იბლოკება ორგანიზმის საკუთარი ძალებით. როგორც კი სუსტდება დაცვა, კიბოს უჯრედები იწყებენ იმუნურების გაძლიერებას, დიდი სისწრაფით აჩქარებენ მათს ზრდას. მაგრამ ზოგჯერ საკმარისია მცირედი ბიძგიც, და იმუნური სისტემა მოულოდნელად თავად გადადის კიბოზე კონტრშეტევაზე, თავს ესხმის მას მთელი თავისი სიძლიერით. ფაქტები მოწმობენ იმის შესახებ, რომ ზოგჯერ ასეთი შეუცნობელი რემისიები ხდებოდა, როდესაც ორგანიზმი ინფექციას „აიკიდებდა", რასაც იმუნური სისტემა საბრძოლო მდგომარეობაში მოჰყავდა. იმუნიტეტი უტევდა არა მხოლოდ თავად ინფექციას, არამედ კიბოს უჯრედებსაც. და ამჟამად ფარმაცევტული კომპანიები გაძლიერებით მუშაობენ ისეთი წამლის შესაქმნელად, რომელსაც შეეძლება იმუნური სისტემა წარმართოს კიბოს სიმსივნის წინააღმდეგ.

### დავუჯეროთ ზღაპარს!

**„ბევრი რამეა დამოკიდებული სიმსივნის ბიოლოგიაზე, – მიაჩნია რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროს გერცენის სახელობის ონკოლოგიის ინსტიტუტის ზოგადი ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორ დინგირ პაკს. – სარძეო ჯირკვლის ჰორმონალურად დამოკიდებული კიბო მთლიანად იკურნება ჰორმონალური პრეპარატებით.**



პოზიტიური განწყობილება ზოგჯერ არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სწორად შერჩეული მკურნალობა.

**საანგარიშო-ინფილტრატიული კი – ხრავს ადამიანს რამდენიმე თვეში. სიმსივნეების ეს თავისებურებანი გენეტიკურად არის ჩადებული. ჩვეულებრივად მეტად მძიმედ მიმდინარეობს კიბო ახალგაზრდებში".**

აქ თავის სიტყვას ამბობს ფსიქოლოგიური განწყობილებაც. ვიღაცა უმალვე ნებდება, ვიღაცას უბრალოდ სწამს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ვიღაცა კი თხზავს ზღაპარს ვირთხა-სიმსივნეებზე, რომლებიც შეიძლება გაანადგუროს ჩვეულებრივი ხელკეტით. „ყოველ ადამიანს აქვს გამოჯანმრთელებისა და ქსოვილების რეგენერაციის მექანიზმი. თუ ტვინი იძლევა ბრძანებას – ის ჩაერთვება, – განმარტავს ფსიქოლოგი დმიტრი ვოედილოვი. – ხოლო, როდესაც ადამიანს არ სჯერა პერსპექტივებისა, მოქმედებას იწყებს საპირისპირო მექანიზმი – თვითგანადგურება. საჭიროა არა უბრალოდ ზღაპრის გამოგონება გამოჯანმრთელების შესახებ, არამედ ნამდვილად უნდა იწამო იგი. მაგრამ, რაც მთავარია, არ აჰყვეთ შარლატანების ზღაპრებს, რომლებიც გვპირდებიან ნებისმიერი დაავადების სასწაულებრივ მკურნალობას. სასწაულის მოხდენა შეუძლიათ მხოლოდ ექიმებსა და თქვენ თავად".

◉ რეპლიკა

## რას დაგვიჩემებია ეს „ეგრეთ წოდებული"

**მომიტევონ, მაგრამ ჩემთვის გამაღიზიანებელი გახდა ტელეეკრანიდან სისტემატურად ნახმარი „ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი"; რატომ არის ეგრეთ წოდებული, არ შეიძლება, რომ უბრალოდ ვთქვათ „სამხრეთ ოსეთი?" თუ ჩრდილოეთი ოსეთია „წოდებული", სამხრეთმა რა დააშავა?**

ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუ არ მეშლება, რამდენიმე შტატია „ჩრდილოეთობისა" და „სამხრეთობის" ნიშნებით გამოყოფილი და სახელდებული – იმათზე არავინ არ ამბობს „ეგრეთ წოდებულიო". ერთი ოსეთი თუ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით ძევს და მეორე – სამხრეთით, რა უჭირს, რომ იმ მეორეზე ვთქვათ, „სამხრეთი ოსეთიო"? „სამაჩაბლოს" ვუწოდებთ, „ცხინვალის რეგიონსა" თუ „სამხრეთ ოსეთს" (ეგრეთ წოდებულის გარეშეც – სულ ერთია, მაინც საქართველოს ტერიტორიაა.

სხვათა შორის, ორთოგრაფიულადაც არაა სწორი „სამხრეთ ოსეთი", უნდა ითქვას „სამხრეთი ოსეთი" (ისევე როგორც, მაგალითად, „ჩრდილოეთი პოლუსი", „სამხრეთი ამერიკა" და არა „ჩრდილოეთ პოლუსი", „სამხრეთ ამერიკა"...ძ.

**თამაზ ებანოიძე**

**წომრის კარიკატურა**



**გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს ოთარ ლიპარტიას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.**

### განცხადება

**სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2011 წლის 24 იანვარს, 12 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ-ში, საზოგადოების ოფისში. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2010 წლის 21 დეკემბერი.**

**დღის წესრიგი:**

**1. 2010 წლის შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება.**

**საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მათი მონაწილეობის უფლება კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი", მდებარე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ა.**

## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.



გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7653 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3346 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6267 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## ⊙ დაიჯესტი

### რეი ბრედბერი: „დიდხანს ცხოვრება საინტერესოა“

**მსოფლიო ფანტასტიკური ლიტერატურის ბურჯს, ლეგენდარულ მწერალს რეი ბრედბერის 90 წელი შეუსრულდა.**

ერთხელ პატარა ბიჭუნა რეი ბრედბერი კარნავალზე მეფოკუსე ელექტრიკოს შეხვდა, რომელმაც მას ცხვირზე „ჯადოსნური“ ჯოხი შეახო და უთხრა: „იცოცხლე, მარად!“ რეიმ სუსტი ელექტრული დარტყმა იგრძნო.

ჩანს, ჯადოსნურმა ჯოხმა გავლენა იქონია, ბრედბერი ახლაც განაგრძობს წიგნების წერას. ელექრიკოსთან შეხვედრის შემდეგ კი მას ხელიდან კალამი საერთოდ არ გაუგდია.

როგორ მოქმედებს მომავალზე აწმყო? – აი, მისი შემოქმედების ლაიტმოტივი. მწერალს ტექნიკისა არაფერი გაეგება – მთელი ცხოვრების მანძილზე იგი ხან ადიდებდა მას, ხან აძაგებდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კაცს, რომელმაც ცხოვრებაში მანქანის ტარება ვერ ისწავლა, თანამედროვე ტექნიკური პროგრესი დიდად აღიზიანებს.

– ჩვენში ძალიან ბევრია მობილური ტელეფონი, საჭიროზე მეტია ინტერნეტი, ამიტომ საჭიროა თავიდან მოვიცილოთ ზედმეტი რაღაც-რაღაცები, – ამბობს კაცი, რომელმაც თავის დროზე იწინასწარმეტყველა... მობილურის და ვიდეოტელეფონები!



მიუხედავად ყველაფრისა, ბრედბერიმ კაცობრიობის ბედნიერი მომავლისა კი სჯერა, მაგრამ დიდი იმედი მაინცდამაინც არა აქვს: **„იცქირები მომავალში და ხედავ უცნაურ ახალ პლანეტებს, ახალ კოსმოპორტებსა და ჰაერში მფრინავ მანქანებს, – მსჯელობს იგი, – ყველაფერი კი ბირჟაზე დოლარის ვარდნით მთავრდება“.**

იგი მაინც დიდი ოპტიმისტია: „არ ვითვალთმაქცობ: დიდხანს ცხოვრება ძალიან საინტერესოა“.



### მაიკლ დუგლასი: ოპტიმისტურად ვარ განწყობილი

**ცნობილ ჰოლივუდელ მსახიობს მაიკლ დუგლასს ექიმებმა საშინელი დიაგნოზი დაუსვეს: მას ყელის ავთვისებიანი სიმსივნე აქვს, იტყობინება ჟურნალი „ფიპლი“. წინ მას ქიმიოთერაპიის ხანგრძლივი კურსი ელის, ექიმები კი დარწმუნებულნი არიან, რომ მსახიობი სენს დაძლევს. საქმე ის არის, რომ, დროული დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში, ყელის კიბოს დაძლევა ათიდან ცხრა შემთხვევაშია შესაძლებელი.**

ექიმთა ვერდიქტს მაიკლ დუგლასი ვაჟკაცურად შეხვდა: – ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და დანებებას არ ვაპირებ, – განაცხადა ლეგენდარული კერკ დუგლასის ვაჟიშვილმა.

### კბენა, როგორც გადარჩენის მეთოდი

**ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, თუ რით დასრულდებოდა წყნარი ოკეანის სამხრეთის საკურორტო კუნძულ მურეას ნაპირთან ქალისა და დიდი მურენის ორთაბრძოლა, საქმეში ცურვის ინსტრუქტორი რომ არ ჩარეულიყო.**

მაშველების აზრით, უფრო სავარაუდოა, რომ გაიმარჯვებდა ოკეანის მტაცებელი, რომლის ყურადღება, როგორც ჩანს, 27 წლის კრისტინა გიიოს ხელზე ბრჭყვიალა ოქროს სამაჯურმა მიიპყრო. მან ქალს ხელში პირი სტაცა და მისი სიღრმეში ჩათრევა უნდოდა. ინსტრუქტორი ჯერი უოტმენი ამაოდ ცდილობდა მეტრანახევრიანი მტაცებლის ყბების გახსნას, რის შემდეგ ნაცად ხერხს მიმართა, რომელიც დედამიწის ზურგზე არც ერთ ცოცხალ არსებას არ უყვარს – მან მურენას... უკბინა. შედეგად გაოგნებული თევზი ოკეანის წიაღში გაუჩინარდა, ოღონდ უნადავლოდ.

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +10 |
| ქუთაისი. | +10 – +12 |
| ბათუმი. | +10 – +15 |
| ზუგდიდი. | +8 – +13 |
| თელავი. | +2 – +9 |

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ⊙ კადრი



## ⊙ ანეკდოტები

ჭეშმარიტი ოქროს თევზი – ეს არის ცოლი, რომელიც უხმოდ გისრულებს ყველა სურვილს.

* * *

სოფლის დაფახფახებულ ქოხთან, რომლის წინაც მოხუცი კაცი ზის, შავი „მერსედესი“ ჩერდება. მანქანიდან საშუალო ასაკის სოლიდური შესახედაობის მამაკაცი გადმოდის.

– გამარჯობა, მამი! გახსოვს, ამ 15 წლის წინათ მე, ცინგლიანი ბიჭი, მეზობელი სოფლის მაღაზიაში რომ გამაგზავნე ბოთლი არყის საყიდლად? ახლა, როგორც ხედავ, „მერსედესი“ მყავს, მოსკოვში სამოთახიანი ბინა და საკუთარი ბიზნესი მაქვს, „ედინაია როსიას“ წევრი და სახელმწიფო სათათბიროს წევრი ვარ. რას იტყვი ყოველივე ამაზე?



– სად არის ის არყის ბოთლი?

* * *

ფინანსთა სამინისტრო გაფრთხილებთ: ალკოჰოლისადმი მეტისმეტმა სწრაფვამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს თქვენს ჯიბეს.

* * *

ნუდისტი ქალი პლაჟზე ნუდისტ მამაკაცს ეუბნება:

– შეტრიალდი! უნდა ჩავიცვა!

* * *

მოდით, ჩვენც დავუდგინოთ ხელისუფლებას საარსებო მინიმუმი!

მაგალითად, ინფლაცია და უმუშევრობა არაუმეტეს 2 პროცენტისა?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.